პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 260 (20001) | სამშაბათი, 10 ნოემბერი, 1987 წელი. | ფასი 8 კაპ.

გარდაქმნა კონკრეტული საქმეებით უნდა განვამტკიცოთ

ეს არის ჩვენი წარმატებების მთავარი პირობა

მიწყნარდა ქალაქებისა და სოფლების სადღესასწაულო დროშებით მორთული ქუჩების ხმაური. საბჭოთა ხალხმა, მასთან ერთად კი მსოფლიოს მშრომელებმა, პლანეტის ყველა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავი. იუბილეს დღეებში განსაკუთრებით გულდასმით შეეკრიბენ ჩვენი ნაბიჯები რევოლუციის მიზნებთან და იდეალებთან. მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვეძებდეთ და ვპოულობდით ოქტომბრის დღეებში, ლენინის მემკვიდრეობაში მტკიცე სულიერ დასაყრდენსაც და ჭკუის სასწავლელად გაკვეთილებსაც.

ყველა მიმართულებით დაჩქარებული წინსვლის მტკიცე საფუძველი შეიძლება შეიქმნას ეკონომიკაში ძირეული ცვლილებების ბაზაზე. თავად გარდაქმნაც მთელ ძალას მხოლოდ მაშინ მოიკრებს, როცა იგი ღრმად აამძიერებს სახალხო მეურნეობას, ახალ ღონეზე აიყვანს ადამიანთა შრომითსა და შემოქმედებითს აქტიურობას. სწორედ ამისათვის ეწყობა ახლა ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმა.

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის წინ საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების 293 მოწინავეს მიენიჭა 1987 წლის სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა სპეციალური წოდება. ასე აღნიშნა სამშობლომ ყველაზე უნარიანი და აქტიური მუშების, კოლმეურნეების, სპეციალისტების — იმათი დამსახურება, ვინც ნოვატორულად უდგება ყოველდღიური ამოცანების გადაწყვეტას, შრომითი საქმეებით განმტკიცებს ჩვენს საზოგადოებაში ახლა მიმდინარე გარდაქმნებს.

მივბაძოთ საუკეთესოებს, მხარი დავუჭიროთ გარდაქმნას კონკრეტული პრაქტიკული საქმეებით ყოველ სამუშაო ადგილას — აი დღევანდელობის მთავარი მოთხოვნა. სწორედ ასეა დაყენებული საქმე მოწინავე კოლექტივებში. ოქტომბრის ზეიმის წინ ხუთწლედის ორი წლის დავალება შეასრულეს ჩერქეზოვების მეტალურგიული კომბინატის მებრძოლებმა. ქვეყნის მენავთობეებმა ამოიღეს ხუთი მილიონი ტონა ნავთობი და თანამდევი გაზი ამა წლის გეგმის გადაჭარბებით. სოციალისტურ ვალდებულებებში დასახულზე ერთი თვით მეტი დამატებითი ქვანახშირი ამოიღეს კუზბასელმა მაღაროელებმა. ჩვენ ეს წარმატებანი იმიტომ გვახარებს, რომ დამატებითი ლითონიც, ნავთობიც, ქვანახშირიც ყველა სხვა დარგს შესაძლებლობას მისცემს დაძლიონ ჩამორჩენა, უფრო წარმატებით შეასრულონ წლის დავალებანი, უფრო მტკიცედ დაიწყონ მეურნეობრიობის ყველაზე ძნელი ზამთრის პერიოდი.

ზეიმის დღეებში სრული საფუძვლით აღვნიშნეთ, რომ პარტიამ შეძლო გაედიდებინა ადამიანთა დაინტერესება საზოგადოებრივი საქმეებით, მათი აქტიურობა, აემაღლებინა მომხიბლველობის დონე, შეექმნა ადამიანთა აზროვნებასა და განწყობილებაში რეალური ცვლილებების წანამძღვრები. მთავარი, რაც ჩვენი ადამიანების უმრავლესობის პოზიციას განსაზღვრავს ამ ეტაპზე, არის გარდაქმნის მხარდაჭერა, იმის მოთხოვნა, რომ იგი განუხრელად მიდიოდეს წინ. მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია გაგებით ეკიდებიან იმას, რომ საჭიროა განმტკიცდეს დისციპლინა, გაიზარდოს შრომისა და პროდუქციის ეფექტიანობა, ხარისხი. ახლა ეს გაგება უფრო აქტიურად უნდა განვამტკიცოთ პრაქტიკული საქმეებით თითოეულ სამუშაო ადგილას. რატომ არის ეს ასე საჭირო? წლის დამლეგამდე სულ ორმოცდაათი კალენდარული დღე რჩება, სამუშაო დღეები კი უფრო ნაკლებიც. მიმდინარე წლის დავალებანი, განსაკუთრებით კონკრეტული შეკვეთების დარგში, ბევრმა საწარმომ მთლიანად როდი შეასრულა. მაგალითად, ასიათასობით ტონა მზა ნაგლინი დაიკლეს შემკვეთებს ქვეყნის მეტალურგებმა. ამის გამო სრული ძალით ვერ მუშაობენ მანქანათსაშენებელი ქარხნები და მშენებლობები.

ინდუსტრიის ბევრ გაერთიანებასა და საწარმოს ჯერ კიდევ ვერ მოუგვარებია ზუსტი მუშაობა სახელმწიფო მიღების პირობებში. როგორც სსრ კავშირის სტატისტიკამ იუწყება, მარტო სექტემბერში სახმიღებამ არ მიიღო 58 მილიონი მანეთის პროდუქცია. განსაკუთრებით დიდია დაწუნებული პროდუქციის წილი სსრ კავშირის ჩარხმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამინისტროსა და სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში. ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა ისეთი ცნობილი საწარმოები, როგორიცაა ვორონეჟის კალინინის სახელობის სამკეფდღო-საწნეხი მოწყობილობის ქარხანა, კოკჩეტავის ხელსაწყოთსაშენებელი, ალმა-ათის ბამბეულის კომბინატი და სხვები. სახელმწიფო მიღების მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში დამზადებულმა დაახლოებით 800 ათასმა ცალმა საკისარმა, 114 ათასმა წყვილმა ფეხსაცმელმა, ბევრმა სარეცხმა მანქანამ და სხვა ნაწარმმა. ახალ წელს სახელმწიფო მიღების მასშტაბი მკვეთრად იზრდება, და, უკვე ახლა უნდა ემზადოს მისთვის, გარდაქმნას მუშაობა ყველა საწარმომ.

მეტად ბევრი გადაუდებელი საქმე დაგროვდა წლის ფინიშზე ასამუშავებელ ობიექტებზე. მთელი რიგი მნიშვნელოვანი მშენებლობების საექსპლოატაციოდ გადაცემა დეკემბრის დამლევისათვის არის გადადებული. მეოთხე კვარტალში წლიური გეგმის შესასრულებლად მარტო მანქანათსაშენებელ კომპლექსში უნდა ჩაბარდეს 148 ობიექტი, ანუ წლიური დავალების 70 პროცენტზე მეტი. მხოლოდ მაღალორგანიზებული, ორ და სამ ცვლად რატომი მუშაობა ყველა ობიექტზე მოგვცემს საშუალებას გამოვასწოროთ საქმე. ამავე დროს ბევრ ასამუშავებელ ობიექტზე ტექნიკისა და ადამიანების მოცდენა იზრდება ცუდი მომარაგების, სამშენებლო ტრესტებისა და მოწყობილობის მიმწოდებლების, ტრანსპორტის მუშაკების ერთმანეთთან უნეირო ურთიერთმოქმედების გამო.

განსაკუთრებით სერიოზულად დგას შრომის დისციპლინის განმტკიცების საკითხი. სსრ კავშირის სტატისტიკომის მონაცემებით, სამუშაო დროის დანაკარგები საწარმოებში და მშენებლობებზე ახლა მეტია, ვიდრე შარშან, ბევრ შრომის კოლექტივში შესუსტდა კონტროლი შრომის განწესის ელემენტარული დაცვისადმი — ცვლაში ეროლ გამოცხადებასა და სადილად და სამუშაოდან წახვლისადმი. განსაკუთრებით ძლიერ გაიზარდა დანაკარგები სსრ კავშირის მსუბუქი და კვების მრეწველობის მანქანათმშენებლობის სამინისტროსა და სსრ კავშირის ნავთობისა და გაზის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს საწარმოებში. მთელდღიანი და ცვლისშუბამოცდენები მშენებლობებზე წლის პირველ ნახევარში ერთიორად მეტი იყო, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. მკვეთრად გაიზარდა სამუშაოზე ადამიანთა გამოუცხადებლობა ხელმძღვანელების ნებართვით.

ამგვარი ნეგატიური ფაქტები ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაჭრისადმი ძველი მიდგომის, გარდაქმნის ფაქტობრივი დამუხრუჭების მაგალითია. გარდაქმნა ის ხომ არ არის, რომ დინებას მივყვებოდეთ. იგი გამოიხატება იმ უნარით, რომ თითოეული კომუნისტი, ყველა მუშაკი კრიტიკულად აფასებდეს ვითარებას, არ უშნიდებდეს სინდისელებს — არ იბნეოდეს არც პირველი წარმატებების, არც პირველი წარუმატებლობის დროს. გარდაქმნა, გვახსოვდეს პარტია, არის უნარი დაძაბულად და მიზანდასახულად ვშრომობდეთ ყოველ დღეს, ყოველ საათს, ყველგან და ყველაფერში ეპოულობდეთ და ვახორციელებდეთ ოპტიმალურ გადაწყვეტილებებს. სწორედ ეს იქნება საქმით გარდაქმნის განმტკიცება.

წლის ფინიშამდე დარჩენილი დრო განსაკუთრებით პასუხსაგებია. იგი დიდად განსაზღვრავს ხუთწლედის პირველი წლების შედეგებს. ჩვენ უფლება არა გვაქვს უმიზნოდ დავკარგოთ შრომის ყოველი საათი. თითოეულმა პარტიულმა ორგანიზაციამ, ყველა კომუნისტმა საქმით უნდა ცხადყოს წარმოებისა და მართვის ყველა უბანზე ორგანიზებული, შეთანხმებული, უნარიანი მუშაობის მაგალითი. მხოლოდ შრომითს კოლექტივებში საქმის ვითარების ღრმა კრიტიკული ანალიზი მოგვცემს შესაძლებლობას ფართოდ გავავრცელოთ ყოველივე საუკეთესო, რაც გარდაქმნის დროს არის დაგროვილი, და ოპერატიულად გამოვიყვანოთ გარღვევიდან ჩამორჩენილი უბნები, საამქროები, საწარმოები. უნდა გვახსოვდეს: წარმოების მარტო მოცულობა როდი წყვეტს საქმეს. მთავარია ვაწარმოოთ მხოლოდ ის პროდუქცია, რომელსაც ელის და აიღებს მომხმარებელი, საექსპლოატაციოდ გადავცეთ ის ობიექტები, რომლებიც ასამუშავებელთა სიაშია, შევასრულოთ გეგმები არა ყოველ ფასად, არა უგუნურად დავხარჯოთ რესურსები და ადამიანთა შრომა, არამედ მინიმალური დანახარჯებით მივაღწიოთ საუკეთესო შედეგებს.

განვამტკიცოთ გარდაქმნა კონკრეტული, საზოგადოებისათვის სასარგებლო საქმეებით — ეს არის პარტიის XXVII ყრილობის მიერ დასახული ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების წარმატებული რეალიზაციის საწინდარი.

ПРАВДА 9 ნოემბრის მოწინავე.

საუბრები კრემლში

9 ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ნგუენ ვან ლინს.

საუბრისას გამოითქვა ორმხრივი მისწრაფება კვლავაც განავითარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომპარტიის, სსრ კავშირისა და ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მეგობრობა და თანამშრომლობა. აღინიშნა იმ ღონისძიებათა პრინციპული მნიშვნელობა, რომლებიც საბჭოთა კავშირსა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამსწრაფლებელი ვიზიტის დროს შეათანხმეს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ყოველმხრივი ურთიერთობის ეფექტიანობის ზრდისათვის.

საერთაშორისო ცხოვრების საკითხებზე აზრთა გაზიარებისას აღინიშნა, რომ დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის დღესასწაულზე ჩამოსული პარტიებისა და მოძრაობების წარმომადგენელთა მოსკოვის შეხვედრა ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი გახდა მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

მ. ს. გორბაჩოვმა და ნგუენ ვან ლინმა დაადასტურეს, რომ საბჭოთა კავშირი და ვიეტნამი აზიაწყნარა ოკეანის რეგიონის მშვიდობის, სტაბილურობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის რაიონად გადაქცევის იდეის ერთგულნი არიან. გამოითქვა სრული მხარდაჭერა ეროვნული შერიგების პოლიტიკისადმი, რომელსაც კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს კამპუჩიელი ხალხის, რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

შეხვედრამ გულთამდობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

* * *

ამავე დღეს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ჰენგ სამრინის და კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ხუნ სენის საუბარი. შეხვედრაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ა. მედვედევი.

მეგობრობისა და ამხანაგობის ატმოსფეროში მიმდინარე საუბრის დროს განიხილეს კამპუჩიაში და მის ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებული საკითხები.

ჰენგ სამრინმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ეროვნული შერიგების პროგრამა. მთავარი მიზანი, რომელსაც კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის — კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ისახავს, ის არის, რომ უზრუნველყოს კამპუჩიელი ხალხის ინტერესები, რეგიონის მშვიდობის, სტაბილურობისა და კეთილმეზობლობის ინტერესები.

მ. ს. გორბაჩოვმა სოლიდარობა გამოთქვა კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელობის კონსტრუქციულ მიდგომასთან კამპუჩიის საკითხის მოწესრიგების პრობლემისადმი. ეროვნული შერიგების კურსი სახავს კამპუჩიის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების რეალურ გზას. საბჭოთა კავშირი თანამიმდევრულად უჭერს მხარს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის, ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამშვიდობო ინიციატივებს, მზად არის კვლავაც აქტიურად შეუწყოს ხელი რეგიონში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას.

მ. ს. გორბაჩოვმა და ჰენგ სამრინმა საჭიროდ ცნეს კვლავაც ყოველმხრივ განამტკიცონ და განავითარონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და კამპუჩიის სახალხო რევოლუციური პარტიის, სსრ კავშირისა და კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობა.

(საკდესი).

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ◆ მოვლენა ◆ კომენტარი

დიდმა ოქტომბერმა საფუძველი ჩაუყარა ხალხთა ლენინურ მეგობრობას, ერებს შორის სიყვარულსა და პატივისცემას, ამიერკავკასიის ხალხთა ძმობის ნამდვილი

ინტერნაციონალური დღესასწაული

იყო ქუთაისში ლენინაკანის, კიროვაბადისა და სოხუმის დელეგაციების ჩამოსვლა.

ორმოცი წლის წინათ ქუთაისის აბრეშუმის კომბინატში მიიღეს ლენინაკანის საფეიერო კომბინატის მოწინავე მქსოველის ევდოკია ლიხაჩოვას წერილი, რომელშიც იგი ქუთაისელ მქსოველს მარიამ ყუტიკაძეს სწერდა, დაედო ხელშეკრულება სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. გამოწვევა მიღებულ იქნა, ხოლო მალე მათ შეუერთდნენ კიროვაბადელი და სოხუმელი კოლეგები. მონათესავე საწარმოთა მეტოქეობა ქალაქების მეტოქეობად იქცა.

წლევანდელი შეხვედრის შრომითის პატაკებში შეაჯამეს დამოყვრებული ქალაქების სოციალისტური ვახტის შედეგები, მათი წვლილი გარდაქმნის საქმეში და მეგობრებმა, ტრადიციასამებრ, სოციალისტური შეჯიბრების ახალ ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი.

* * *

დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში იყვნენ ჩაბმულნი ჩვენი რესპუბლიკის წითელწყაროს, აზრბაიჯანის სსრ ზაქათალის და სომხეთის სსრ არტიკის რაიონების შრომელები. ამ დღეებში

სამი რაიონის წარმომადგენელთა შეხვედრა

მოეწყო წითელწყაროში. მათ ერთმანეთს გაიცეს შეჯიბრების შედეგები, გაუზიარეს ერთმანეთს შრომითი გამოცდილება. გაიფორმეს 1988 წლის შეჯიბრების ხელშეკრულებები.

აღინიშნა, რომ სამივე რაიონის მშრომელები პირნათლად ასრულებენ როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ვალდებულებებს.

* * *

ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულა საიუბილეო სოციალისტური ვალდებულებები საწარმოო გაერთიანება „ჭიათურმანგანუმის“ ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა და

გაიმარჯვეს სოციალისტურ შეჯიბრებაში

მან 5.500 ათასი მანეთის ნაცვლად 5667 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ასეთი მაჩვენებლები მიიღწეულია საწარმოში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვით, ავტომატიზაციის განვითარებით. წელს პრაქტიკაში დაინერგა ლითონის პლაზმური ჭრა, გაცვეთილი დეტალების აღდგენა ელექტროდადუღების აპარატით. ორი კვირის წინათ კი მწყობრში ჩადგა ელექტრონულ-ტაბური დამუშავების დანადგარი. ეკონომიკურმა ეფექტმა ამ სიახლეების დანერგვით 70 ათას მანეთს გადააჭარბა.

სახელოსნოს კოლექტივი წარდგენილია საკავშირო სპატიო სიგელით დასაჯილდოებლად.

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

მოწოდება

მუშაობაში წარმატებებისათვის, დიდი ოქტომბრისა და საბჭოთა მილიციის 70 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე, მილიციის პოდპოლკოვნიკი გურამ ვალერიანის ძე ქარქაშაძე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ხელგეთით დაჯილდოდა.

გამომძიებლის კაბინეტი... რამდენჯერ აღწერილა იგი მოთხრობებსა და რომანებში, საგაზეთო თუ საყურნალო ნარკვევებში. ჩვეულებრივ, თვალწინ წარმოგვიდგება მასიური მაგიდა, რომელზეც რამდენიმე ტელეფონის აპარატი, ნამწვავებით სავსე საფერფლე დგას და თვალმოღამებული კაცი უზის. მაგრამ როცა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილის, მილიციის პოდპოლკოვნიკ გურამ ქარქაშაძის კაბინეტში შედიხართ, უნებურად გაიფიქრებ, რომ რომანტიკით შეპყრობილი დეტექტივების ავტორები ხშირად ბევრ რამეს აზვიადებენ.

...ჩვენ ვსხედვართ პატარა ოთახში, რომელიც ნებისმიერი დაწესებულების ჩვეულებრივ კაბინეტს მოგაგონებს. მაგიდაზე აწყვია სისხლის სამართლის საქმეთა ტომები, რომლებსაც გურამი უნდა გაეცნოს. ვსაუბრობთ მშობლებზე, რომლებსაც უნდოდათ მათი ვაჟი ინკვინერი დამდგარიყო და თავდაპირველად დიდად არ მოუწონებიათ მისი აირჩევანი— გამომძიებლის ძნელი პროფესია, შემდეგ კი ამაყობდნენ მისი წარმატებებით; ვისაუბრეთ შვილებზე, სამუშაოზე, ჭირზე და ლხინზე, რომელიც მისი რთული, მაგრამ ბედნიერი ცხოვრების მოზაიკურ სურათს ქმნის.

ვუსმენ მის დინჯ საუბარს და მაოცებს ამ კაცის საქმის ერთგულება, პროფესიის სიყვარული. მისი გრძნობები და აზრები, განცდები მეც გადმომედო, ახლობელი და გასაგები გახდა, ჰოდა, მასთან ერთად ვფიქრობდი და განვიცდიდი ყველაფერს, ხან თანამონაწილე, ხან მოწმე ვხდებოდი იმ დიდი საქმისა, რომელსაც იგი ემსახურება.

გურამზე ამ შვიდი წლის წინათ ნარკვევი დავწერე. მაშინ მილიციის კაპიტანი, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა უფროსი გამომძიებელი იყო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. არა მარტო ის, რომ საგამოძიებო ნაწილის უფროსის: მოადგილე და მილიციის პოდპოლკოვნიკი გახდა, უფრო სწორედ, არა მარტო ეს. წლებმა გამოცდილება შესძინა, პროფესიულად დაიხვეწა, დავალებული საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა გაუძლიერდა, იმ განყოფილების გამომძიებელთა მუშაობისთვის პასუხისმგებლობის გრძნობა, რომლის მეთაურობაც მას მიანდეს.

...რომელიმე საქმეზე ხომ არ ვისაუბროთ? — მკითხა გურამ ქარქაშაძემ. — იცი რა, აი, ეს რვეულები აიღე, წაიკითხე, და ყველაფერს თვითონ მიხვდები. ოღონდ ერთ რამეს გთხოვ: როცა ძველ საქმეებს გაიხსენებ, გვარებს ნუ მოიხსენიებ. ბევრმა უკვე მოიხადა სასჯელი, მუშობს. წარსულის ქიქვა რად გვინდა, ძველ ჭრილობებში ხელების ფათური?..

და გადმომცა მრავალ ხელში გამოვლილი, საკმაოდ შელახული ყდელი რვეულები. ამ რვეულებშია მილიციის წარჩინებულის გურამ ქარქაშაძის ცხოვრებისა და საქმიანობის 16-წლიანი მონაკვეთი. აქ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არის მოცემული საქმეები, რომლებიც 16 წლის მანძილზე გამოუძიებია.

ძიების წვრილმანები, ზოგჯერ მათი უზუსტესი აღწერა, ავტორის ხან მწყობრი, ხან მიშვებული ხელწერა იმის დასტურია, რომ ამ თავისებურ დღიურს სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ვითარებაში ავსებდა. ყოველი სტრიქონი, ყოველი ფურცელი მოგონებებით სუნთქავს, ყოველი საქმის გამომძიებაში გულმოდგინე მუშაობა, უმაგალითო თავდაჭერა, განცდები და ძალების დაძაბვა იგრძნობა. დღიურს ემატება და ემატება ახალი გამომძიებული საქმეები, რადგან გურამ ქარქაშაძის ბიოგრაფია გრძელდება.

ვკითხულობ რვეულს.

„დავამთავრე ა. და შ. სისხლის სამართლის საქმე იმათ შესახებ, რომლებიც ცეკავშირის ზუგდიდის სარაიონთაშორისო ცენტრალურ ბაზაში მუშაობდნენ და განსაკუთრებით დიდი ოდენობით იტაცებდნენ სახელმწიფო ქონებას“.

„1985 წლის ოქტომბერში დავამთავრე ადგილობრივი მრეწველობის მარნეულისა და თეთრი წყაროს კომბინატების მუშაკთა საქმე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ 750.000 მანეთის სახელმწიფო ქონების დატაცება“.

„განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება, ქრთამები, ქრთამის აღებაში შუამდგომლობა ცეკავშირში და ორჯონიკიძის რაიკომკავშირში. ამ საქმის გამო სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა და სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 14 კაცს“.

გ. ქარქაშაძე წელიწადნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში იკვლევდა მარნეულისა და თეთრი წყაროს ადგილობრივი მრეწველობის კომბინატებში განსაკუთრებით დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონების დატაცების საქმეს. კომბინატის ოსტატმა ვ.-მ 12-კაციანი ბოროტმოქმედთა ჯგუფი შეაკავშირა. ეს იყო სოციალისტური საკუთრების დამტაცებელთა კარგად ორგანიზებული ბანდა. ავტომანქანების შალითების, ზეწრების, ბალიშის პირებისა და ფარდების მასალის დაზოგვის ხარჯზე დამნაშავეებმა, რომლებიც შემკვეთს ატყუებდნენ, ორი წლის მანძილზე 750.000 მანეთის სახელმწიფო ქონება დაიტაცეს.

გურამ ქარქაშაძემ უდიდესი მუშაობა გასწია, რათა ბოლომდე ეამოემზეურებინა თაღლითების მთელი მაქინაციები. დამნაშავეებს ეგონათ, რომ ეშმაკურად მოფიქრებული დატაცების სისტემა „უზადოა“ და ვერ გამოაშკარავდებოდა. მაგრამ პროფესიული ალღო და სუსტი ადგილების მიგნების უნარი დაეხმარა ქარქაშაძეს გამოუსწორებელი ბოროტმოქმედნი და განსასჯელთა სკამზე დაესხა ისინი.

რამდენი საქმეა... რამდენი რამის მოყოლა შეგვიძლია იმისათვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას, რაოდენ საინტერესო და მოგვლენებით აღსავსეა ამ კაცის ცხოვრება, რომელიც თავდადებით ებრძვის ბოროტებას. იგი ერთგულად ემსახურება თავის პროფესიას, რაც შემდგომი წარმატებების საწინდარია.

უყოყმანოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ კაცმა მიაგნო თავის მოწოდებას, თავის ადგილს ცხოვრებაში.

ა. საკაკაძე.

* * *

სურათზე: ოპერატიულ თათბირს ატარებს პოდპოლკოვნიკი გ. ქარქაშაძე (ცენტრში). მის მარჯვნივ არიან პოდპოლკოვნიკი ნ. აბულაძე, მაიორები თ. დვალი და თ. სახეჩიძე, მარცხნივ — კაპიტანი გ. ამისულაშვილი.

შ. გოჩკაძის ფოტო.

მეტი ოპოთხოვნელობით

ძლიერი ქარებისა და კოკისპირული წვიმების მიუხედავად, საქართველოს ენერგეტიკოსებმა შეძლეს შემჭიდროებულ ვადაში აღედგინთ ყოველივე, რაც სტიქიამ დაანგრია. კვლავ ჩაირთო ელექტროგადამცემი ხაზები, აღიმართა და გამაგრდა საყრდენი ბოძები. სინათლე მიიღო რესპუბლიკის ყველა ქალაქმა და სოფელმა, მათ შორის — მთაშიც. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ თათბირზე, რომელიც სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესთა მართვის საკითხებს მიეძღვნა, აღინიშნა, რომ რამდენადმე სტაბილური გახდა თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მუშაობა. ამასთან თათბირის მონაწილეებმა შეშფოთებით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის ენერგეტიკული სისტემა ხშირად დაუცველია სტიქიურ მოვლენათა წინაშე. ზუსტად უნდა განვსაზღვროთ და განვამტკიცოთ მისი ყველაზე სუსტი უბნები. არ უნდა დავუშვათ, რომ ელექტროენერგიის უქონლობის, ქსელში ძაბვის ნაკლებობის გამო ცდებოდეს მოწყობილობა და მთელი საწარმოები.

დიდი ყურადღება დაეთმო გათბობის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. უკვე მრავალი წელია თბილისის აღმასკომი არწმუნებს ხოლმე თათბირს, რომ ჩინებულად მოემზადნენ ზამთრისათვის. ასე იყო ამჯერადაც. მაგრამ ქალაქელთა მრავალი საჩივარი ბინებსა და დაწესებულებებში სიცივის გამო მოწმობს სერიოზულ ხარვეზებს ამ მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეში. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა საავადმყოფოების, სკოლების, სბავშვო ბაღების, სხვა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ობიექტების გათბობასთან დაკავშირებით. შესაბამისი სამინისტროები კი, მათ შორის ჯანმრთელობის დაცვის და განათლებისა, არ იჩენენ ამ საკითხში ჯეროვან სიმტკიცეს და მომთხოვნელობას. ასეთი გულგრილობა არავის აკ ეპატიება. იგი ძირეულად ეწინააღმდეგება სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების მითითებებს, რომლებმაც წინა პლანზე წამოწიეს ადამიანისათვის ზრუნვა.

დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა ბენზინით, ბიტუმით, სხვა ნავთობპროდუქტებით რესპუბლიკის უზრუნველყოფაში. ეს გამოწვეულია ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის მუშაობაში შეფერხებებით, რომელიც ახლა რეკონსტრუქციის სტადიაშია. ამიტომ ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კომიტეტის ამოცანაა აანალიზაციროს დანაკლისი სხვა რესპუბლიკებიდან სათბობის შემოტანით.

სხდომაზე განიხილეს საქართველოში ზამთრის მანძილზე ოპტიმალურ სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსის შენარჩუნებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა საკითხი.

(საკინფორმი).

მემკვიდრეობითობა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივმა ერთხმად აირჩია თავის ლიდერად — ინსტიტუტის დირექტორად კოლეგა — ბიოტექნოლოგიის განყოფილების გამგე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი კვესიტაძე.

კენჭისყრა ღიად მიმდინარეობდა. თითოეულმა გამოსულმა კანდიდატის შესახებ გამოთქვა თავისი აზრი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლექტივმა ამ პოსტზე სხვა კანდიდატურების დასახელება არც კი ისურვა, თუმცა ამის სრული უფლება ჰქონდა.

რატომ დასჭირდათ ახალი დირექტორის არჩევა?

ბიოქიმიის ინსტიტუტი რესპუბლიკის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სამეცნიერო დაწესებულებაა. 1971 წელს შექმნილი ინსტიტუტის კოლექტივმა უკვე მოასწრო დაემსახურებინა არა მარტო საკავშირო, არამედ საერთაშორისო აღიარებაც, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ დარგებში, როგორიც არის გენური ინჟინერია და ბიოტექნოლოგია. ინსტიტუტს ხელმძღვანელობს მისი დამაარსებელი და უცვლელი დირექტორი, პატივსაცემი და დამსახურებული კაცი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი სერგი დურმიშიძე.

მაგრამ დადგა დრო, და მან განცხადება დაწერა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელზე დირექტორის მოვალეობისაგან თავისი ნებაყოფლობითი განთავისუფლების შესახებ. მხცოვანი მეცნიერის ასეთ ნაბიჯს აქ ჯეროვანი გაგებით მოეკიდნენ. მით უმეტეს, რომ ამ პოსტზე მან დასახელა თავისი მოწაფე, რომელსაც ზრდიდა, ამზადებდა შემცვლელად.

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომას, სადაც ახალი დირექტორი აირჩიეს, სამწუხაროდ, არ ესწრებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქორდანია. მას შეეძლო ბევრი კარგი რამ ეთქვა თავისი მოადგილის გიორგი კვესიტაძის შესახებ, რომელმაც მოკლე დროში ბევრი გააკეთა რესპუბლიკაში წარმოების არსებითად ახალი დარგის — ბიოტექნოლოგიაზე დაფუძნებული დარგის ორგანიზაციისათვის. მაგრამ ირაკლი ქორდანიას უფლება არ ჰქონდა დასწრებოდა არჩევნებს. ასეა დაწესებული ინსტრუქციისა და არსებული დაუწერელი აკადემიური წესების მიხედვით.

მოგვაყვა რამდენიმე ნაწყვეტი სამეცნიერო საბჭოს გაფართოებული სხდომის ოქ

ანგარიშგება- არჩევნები

მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეაფასეს

ისინი კრების დარბაზში თავდახრილი და დარცხვენილი ისხდნენ. ჰქონდათ კიდეც ამის მიზეზი: თუმცა მათი კოლექტივი ძირითადად ჯანსაღია, მაინც აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც შეარცხვინა და შებღალა მისი სახელი: მან, რუსთავის მეოცე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ სოფიო მუშლაძემ ქრთამი აიღო და განსასჯელის სკამზე აღმოჩნდა. მისი მოქმედება იმთავითვე მკაცრად შეაფასეს არა მარტო კოლექტივმა, არამედ მთელი ქალაქის პედაგოგებმა. მკაცრი და სამართლიანი იყო პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის რეაგირება: თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა და საარიცხვო ბარათში შეტანით სასტიკი საყვედური გამოეცხადა სკოლის დირექტორს კ. ლოგუნოვს, მკაცრი პარტიული სასჯელები დაედოთ სკოლის პარტორგანიზაციის მდივანს პ. იუდინს, მის მოადგილეს ტ. უროვეას. საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება განიხილეს რუსთავის სკოლების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა...

კრებაზე ერთობ ხელშესაბებად იგრძნობოდა ამ სამარცხვინო ფაქტით გამოწვეული სინანულისა და სირცხვილის გრძნობაც და აღშფოთებაც. მომხსენებელს, სკოლის პარტორგანიზაციის მდივანს პ. იუდინს სიტყვები ყელში ეჩხირებოდა. ოცდათხუთმეტი წელია იგი პარტიის წევრია, სკოლაში სამხედრო საქმეს ასწავლის, არასდროს თავი არ შეურცხვენია, კოლექტივი მას აფასებს და პატივს სცემს. და აი ახლა შერცხვა თმადათოვლილი კაცი. პარტიულმა ხელმძღვანელმა ერთბაშად მოადუნა ყურადღება, კრიტიკულად არ შეაფასა თითოეული კომუნისტის მოქმედება და... არასდროს ასეთ მძიმე დღეში არ ყოფილვარო, დიდი სინანულით განაცხადა მან.

კომუნისტებმა პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში დაწვრილებით განიხილეს გაწეული მუშაობის ავ-კარგი, განსაკუთრებული ყურადღება ნაკლოვანებებსა და მათი გამოსწორების გზების ძიებას დაუთმეს. ითქვა, რომ ამ სამარცხვინო საქმის შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა, ავიღოთ თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიც არის სკკპ რიგებში მიღება. საანგარიშო პერიოდში სკკპ წევრობის კანდიდატს, პედაგოგ ნ. ნათაძეს პარტიაში მიღებაზე უარი ეთქვა იმის გამო, რომ მისი რეკომენდატორები იყვნენ ყოფილი დირექტორი კ. ლოგუნოვი და მსჯავრდადებული, ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე ს. მუშლაძე. აღრე ბევრმა კომუნისტმა თავი შეიკავა მიეცათ მისთვის რეკომენდაცია, მაგრამ თავიანთი აზრი გაბედულად ვერ გამოთქვეს და მხოლოდ საკანდიდატო სტაჟის გავლის შემდეგ დაისვა საკითხი პრინციპულად. ესეც სერიოზული გაკვეთილია პარტორგანიზაციისათვის.

ხაზგასმით ითქვა ისიც, რომ სუსტი პარტიული გავლენის გამო სერიოზული ნაკლოვანებებია პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში. გასულ სასწავლო წელს 1176 მოსწავლიდან 84-ს ჰქონდა საშემოდგომო გამოცდა, ხოლო 6 მოსწავლე იმავე კლასში დატოვეს. წინა სასწავლო წელთან შედარებით დაბალია აკადემიური წარმატების დონე.

დაუფარავად აღინიშნა სხვა ნაკლოვანებანიც, ითქვა, რომ სუსტია პედაგოგთა შორის მოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, კავშირი პროფფუქნიკურ სასწავლებლებთან, დაბალ დონეზე მოეწყო ატესტაცია, არასაკმარისი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა პროფორიენტაციას, სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათი სამხედრო-პატრიოტული აღზრდა და სხვ. მთელი მომთხოვნელობით დაისვა აგრეთვე სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოების საკითხიც, ურომლისოდაც შეუძლებელია შრომის გაკვეთილების ნორმალური ჩატარება. ამასთან დაკავშირებით კომუნისტებმა მკაცრად გააკრიტიკეს საბაზო ორგანიზაციები — მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქრო და „საქმექანომონტაჟის“ რუსთავის სამმართველო, რომლებიც ჯეროვნად არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას სკოლის წინაშე. ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაშიც სკოლას უთუოდ სჭირდება ზემდგომი ორგანოების დახმარება.

კრებამ თვალნათლივ დაამტკიცა, რომ კომუნისტები გრძნობენ უდიდეს პასუხისმგებლობას დროის წინაშე, პრინციპულად აფასებენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. კოლექტივში იღვწის ბევრი კეთილსინდისიერი მუშაკი, ხოწოდებით პედაგოგი, ისინი ენერგიას არ იშურებენ, რათა მოიშორონ სამარცხვინო ლაქა. ეს გამოხატეს თავიანთ გამოსვლებში კომუნისტმა პედაგოგებმა ლ. გოდერიძემ, ნ. ლობჟანიძემ, მ. მიქაძემ, ტ. ბარნამ და სხვებმა. ყოველივე ეს აისახა აგრეთვე კრების მიერ მიღებულ დადგენილებაშიც, რომლითაც პარტორგანიზაციის მუშაობა არადამაკმაყოფილებლად შეფასდა.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ჩხეიძემ.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

გუშინ, დღეს, ხვალ

ფაქტი ■ მოვლენა ■ კომენტარი

ათასი კილომეტრი აშორებს საქართველოს უკრაინისაგან, მაგრამ ჩერნობილის მწუხარება ყველა საბჭოთა ადამიანმა აღიქვა და მისი გმირები მთელ ქვეყანას ეკუთვნიან. ამიტომ რუსთავის საწარმოო გაერთიანება „ქიმბოჭკოს“ სახანძრო დაცვის ნაწილის მუშაკებმა

გადაწყვიტეს უკვდავყოფა

ორი უკრაინელი კოლეგისა და თანამეზობლის ხსოვნა. აქ ოქტომბრის 70 წლისთავის წინ გახსნეს საბჭოთა კავშირის გმირების ვლადიმერ პრავიკისა და ვიქტორ კიბეჩოს მემორიალი. მხოლოდ 25 წლისა იქნებოდა თითოეული მათგანი, ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში გაჩენილ ხანძარს რომ არ ემსხვერპლა.

შავი მარმარილოს დაფიდან გვიცქერის ორი ახალგაზრდის ოდნავ მომღიმარი სახე. შეკრებილებმა გვირგვინებითა და თაიგულებით შეამკეს მემორიალი.

* * *

საბჭოთა პატრიოტიზმის კიდევ ერთი სასახელო ფურცელი ჩაწერა ბორტგამყოლმა ნადეჟდა კურჩენკომ.

დიდი კავკასიონის ქედის ერთ-ერთ მწვერვალზე, რომელიც მისი სახელობისაა,

აღიმპართა ოგელისკი

სოხუმის ავიასაწარმოს კოკავშირელებმა იგი გმირი ბორტგამყოლის ხსოვნის აღსანიშნავად დადგეს. მამაცი ქალიშვილის ხსოვნას პატივს მიაგებენ არა მარტო კოლეგები, არამედ მთელი ქვეყნის ახალგაზრდობაც. მისი სახელი ეწოდა საზღვაო გემს, ყვავილის ახალ ჯიშსა და ქალაქების ქუჩებს, სკოლებსა და პიონერულ რაზმეულებს. ოქტომბრის დღესასწაულის დღეებში პიონერები ხსოვნის ვაჰტზე დგანან სოხუმის აეროპორტში დადგმულ ბორტგამყოლის ძეგლთან.

* * *

20 წლის წინათ, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის იუბილეს წინ, ბიჭვინთის პანსიონატმა „კოლხეთმა“

პირველი დამსვენებლები

მიიღო. ეს ფაქტი გახდა შავი ზღვისპირეთში კიდევ ერთი ქალაქ-კურორტის, ჯანმრთელობის კერის დაბადების თარიღი. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან და საზღვარგარეთიდან ერთ მილიონზე მეტ დამსვენებელს უკვე უმასპინძლეს ბიჭვინთის ჯანმრთელობის კერებმა. დღეს მთელ სანაპიროზე ცნობილ ტაძარში ქვეყნისა და მსოფლიოს საუკეთესო მუსიკოსები მართავენ საორღანო მუსიკის კონცერტებს.

ბიჭვინთა ბევრი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სამეცნიერო და კულტურული ღონისძიების კამართვის ტრადიციული ადგილი გახდა.

* * *

ქართული ეროვნული კულტურის კერა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ბევრი შესანიშნავი ღონისძიების წამომწყებია. საფუძველი ჩაეყარა და გაიმართა გალაკტიონ ტაბაძის შემოქმედების შემსწავლელი მუდმივმოქმედი

პირველი ზამინარი

მისი სამეცნიერო ხელმძღვანელია უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგე, პროფესორი რევაზ მიშველაძე. მან სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა და მსმენელებს წააცნო მუშაობის ერთწლიანი გეგმა.

მოხსენება გააკეთა უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის დამაარსებელმა, პროფესორმა სერგი ჭილაიამ. გამოვიდნენ უნივერსიტეტის პროფესორები ტარიელ კვანტალიანი, ვიოლეტა ცისკარიძე, ქუთაისის აღ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი და სხვები.

მუდმივმქმედი სამეცნიერო სემინარი მეცადინეობებს თვეში ერთხელ ჩაატარებს.

სუსტი კონტროლის შედეგი

„კომუნისტის“ კრიტიკულ გამოსვლას უპასუხობს საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიონული კომიტეტი

მიმდინარე წლის 10 ივლისის ნომერში რუბრიკით „როცა თქმა სჯობს არათქმასა“ დაიბეჭდა კრიტიკული წერილი **„სარფიანი მგრავიის“ მოყვარულნი“**, რომელიც ქალაქ ზუგდიდის მიმდებარე სოფლებში საკოლმეურნეო მიწების დატაკების ფაქტებს და მიწათსარგებლობის წესების დაცვის ნაკლოვანებებს შეეხებოდა.

ამასთან დაკავშირებით პარტიის ზუგდიდის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი **ბ. ჯიქია** რედაქციას ატყობინებს:

წერილში მოყვანილი კრიტიკული შენიშვნები მართებულია.

შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ქალაქის მიმდებარე სოფლებში ნამდვილად ირღვევდა მიწათსარგებლობის წესები, ეს არასახარბიელო ტენდენცია განსაკუთრებით დამახასიათებელია სოფლების ოდიშის, ჭითაწყარის, ცაიშის, ახალსოფლის და რუხის საზოგადოებრივი მეურნეობებისათვის, სადაც თავი იჩინა საშოსახლო მიწის ფონდის განაწილებისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დარღვევის, უკანონად მიწის ნაკვეთების დაპატრონების ფაქტებმა. ასეთივე ნაკლოვანებანი გამოვლინდა რაიონის სხვა სოფლებშიც.

შემოწმების შედეგად ქალაქ ზუგდიდის გარშემო სოფლებში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის დადგენილი წესის დარღვევის ფაქტების დიდი ნაწილი გამოასწორეს სასოფლო საბჭოების აღმასკომებმა და ადგილობრივმა საშეურნეო ორგანოებმა, ხოლო დარღვევების სხვა ფაქტები რეგირებისათვის გადაეცა რაიონის ადმინისტრაციულ ორგანოებს.

გაზეთის ფურცლებზე სამართლიანად გამოთქვა კრიტიკა იმის გამო, რომ რაიონის ზოგიერთ სოფელში მომრავლდა სხვადასხვაგვარი სამაქრობი და სახელოსნობები. შემოწმების შედეგად მრავალი დარღვევა გამოვლინდა.

შემოწმებული მასალების რეგირების საფუძველზე რაისაბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით გაუქმდა დაუსაბუთებლად გახსნილი ბევრი საამქრო. ამასთან დამატებითი ღონისძიებები ხორციელდება ამ საკითხზე ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად.

საფუძვლიანია გაზეთში ზუგდიდის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მიმართ გამთქმული კრიტიკა, რომელიც ავტოსაწარმოებში დისციპლინისა და წესრიგის შესუსტებას, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მოდუნებას შეეხებოდა.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის ბიუროს საგანგებოდ იმსჯელა გაზეთ „კომუნისტის“ ზემოაღნიშნული კრიტიკული წერილის გამო და სათანადო შეფასება მისცა მას.

საზოგადოებრივ მეურნეობებში მიწათსარგებლობის წესების დარღვევების აღსაკვეთად რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მუშაობა არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალა. აღინიშნა აგრეთვე რაიონული საბჭოს აღმასკომის არასაკმარისი ზედამხედველობა და კონტროლი რაიონში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის საქმეში. ამასთან მას მკაცრად მოსთხოვეს უფრო მტკიცედ მოჰკითხოს შესაბამისი ორგანოებისა და სამსახურების ხელმძღვანელებს ამ საქმეში მტკიცე სახელმწიფოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა.

რაიონში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დაცვის საქმეში გამოვლენილი ნაკლოვანებებისათვის რაიკომის ბიურომ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს **ი. კუტალიას** და რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეს **მ. დემურიას** შენიშვნა მისცა.

რაიკომის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ რაიონის შესაბამისი ორგანოების ძალებით წინანდელი შემოწმების შედეგად სოფელ ოდიშში გამოვლენილი მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დარღვევისათვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს **გ. სართანიას**, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს **მ. ღურწკაიას**, რაისაბჭოს აღმასკომის არქიტექტორსა და მშენებლობის განყოფილების გამგეს **გ. ხაზალიას** გამოეცხადათ საყვედური საღირებო ბარათში შეტანით.

რაიკომის ბიურომ ცნობად მიიღო, რომ ანალოგიური დარღვევებისათვის ჭითაწყაროს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. ქვარაია** ამავე საბჭოს სესიის გადაწყვეტილებით მოხსნილია თანამდებობიდან, ხოლო ცაიშის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე **გ. ბოხუა** და სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ასეთივე დარღვევების დაშვებისათვის ადრე პარტიულად მკაცრად დასაჯნენ და ამჟამად განთავისუფლებულ იქნენ თანამდებობიდან.

რაიკომის ბიურომ აგროსამრეწველო გაერთიანების გამგეობას და პირველადს პარტიულ ორგანიზაციას დაავალა განიხილონ ამავე გაერთიანების მიწათმომწყობის, სკკპ წევრის **თ. ქანთარიას** თანამდებობრივი და პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი.

ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, სკკპ წევრს **გ. ნარმანიას** პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა.

ახალსოფლის და რუხის კოლმეურნეობების გამგეობათა თავმჯდომარეების **კ. კიკალეშვილის** და **ზ. თოდუას**, რუხის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **ვ. ჭურღულიას**, ახალსოფლის სასოფლო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის **კ. ჯიქიას** პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი რეგირებისათვის გადაეცათ შესაბამის პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს.

რაიკომის ბიურომ პირველადს პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებს, სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს პერსონალური პასუხისმგებლობა დააკისრა სახელმწიფო და საკოლმეურნეო სექტორში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის საკანონმდებლო მოთხოვნების განუხრელად განხორციელების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს მრეწველობა ათ თვეში

როგორც საქართველოს სსრ სტატისტიკომი იუწყება, რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა დიდი ოქტომბრის 70 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი: 40 მილიონი მანეთის ნაცვლად გამოშვებულია 85,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდა ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების, მათ შორის ნავთობისა და ქვანახშირის, თანადაყოლა გაზის, მანგანუმის მადნის მოპოვების, ფოლადის გამოდნობის, თუნუქის, ელექტროენერგიის, სინთეზური საღებავი საშუალებების, ზედა და ტრიკოტაჟის საცვლის, მალეულის, ტყავის ფეხსაცმლის, აგრეთვე მეტ წილ სახეობათა კვების პროდუქტების წარმოების დადგენილი დავალებანი.

სამრეწველო წარმოების მოცულობა მარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 178,6 მილიონი მანეთით, ანუ 2,1 პროცენტით გაიზარდა.

გადაჭარბებით შესრულდა წარმოების საერთო მოცულობის ზრდის საგეგმო დავალება. სამრეწველო პროდუქციის მატებამ 1986 წლის იანვარ-ოქტომბრის გეგმასთან შედარებით შეადგინა 3,7 პროცენტი; რაც შეესაბამება მთლიანად წლისათვის დამტკიცებულ დავალებას.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო დაქვემდებარების გაერთიანებებისა და საწარმოების უმრავლესობამ წარმატებით გაართვა თავი დადგენილი საგეგმო დავალებების შესრულებას და მიაღწია წარმოების დასახულ მოცულობას. ამავე დროს ზოგიერთმა მათგანმა 10 თვის მუშაობის შედეგებით ვერ უზრუნველყო პროდუქციის გამოშვების დაგეგმილი დონე.

მაგალითად, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ხაზით განსხვავებამ 2,1 მილიონი მანეთი შეადგინა, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს ხაზით — 1,6 მილიონი მანეთი, საწარმოო გაერთიანებების „ქუთაისის აკუოქარხნის“ ხაზით — 21,2 მილიონი მანეთი, „ელმავალმშენებლისა“ — 8,9 მილიონი მანეთი, „ჩარხმშენებლისა“ — 5,1 მილიონი მანეთი, „საქელექტრომანქანისა“ — 1,7 მილიონი მანეთი, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ხაზით — რამდენიმე მილიონი მანეთი, „ელექტროშეღებვისა“ — 0,9 მილიონი მანეთი, ცხინვალის „ელექტროვიბრომანქანისა“ და სოხუმის ელექსპერიმენტული გაზის აპარატურის ქარხნებისა — 0,3 მილიონი მანეთი შესაბამისად.

შესრულდა საგეგმო დავალება შრომის ნაყოფიერების ზრდის მიხედვით. ეს მაჩვენებელი შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით 1,6 პროცენტით გაიზარდა. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით მიღებულია პროდუქციის მთელი მატების 81 პროცენტი.

რამდენადმე გაუმჯობესდა ნაწარმის ხარისხი. მაგალითად, იანვარ-ოქტომბერში ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის წარმოების მოცულობამ შეადგინა 589,3 მილიონი მანეთი გეგმით გათვალისწინებული 579,1 მილიონი მანეთის ნაცვლად.

ამავე დროს, რესპუბლიკის მთელ რიგ გაერთიანებებსა და საწარმოებში შემოღებულმა სახელმწიფო მიღებამ ცხადყო, რომ ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას გაუმჯობესება სჭირდება. ოქტომბერში 9 საწარმოში 21 საწარმოდან, სადაც შემოღებული იყო სახელმწიფო მიღება, უარი ეთქვათ 689 ათასი მანეთის საერთო თანხის პროდუქციის მიღებაზე, მათ შორის საწარმოო გაერთიანება „საქელექტრომანქანის“ ქარხანა „მიკროძრავაში“ — 127 ათას მანეთისაზე, საწარმოო გაერთიანებებში: „განთიადში“ — 61 ათას მანეთისაზე, „ქუთაისის ავტოქარხანაში“ — 56 ათას მანეთისაზე, ბათუმის „ყოფმანქანის“ ქარხანაში — 263 ათას მანეთისაზე და ა. შ. წლის დამდეგიდან საბოლოოდ დაწუნებული პროდუქციის საერთო თანხამ ამ საწარმოებში 428 ათასი მანეთი შეადგინა.

სახალხო მოხმარების საქონლის მოცულობამ რესპუბლიკის მრეწველობაში 10 თვის მანძილზე შეადგინა 5,5 მილიარდი მანეთი (საცალო ფასებით), რაც 0,47 მილიარდი მანეთით ანუ 9,7 პროცენტით მეტია, ვიდრე შარშანდელ შესაბამის პერიოდში. უზრუნველყოფილია საგეგმო დავალებათა შესრულება ყველა სახეობის მიხედვით, მათ შორის სასურსათო საქონლის (მსუბუქი მრეწველობის საქონლის გარდა) გეგმა შესრულდა 102,1 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის საქონლისა — 101,5 პროცენტით. სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებამ ხელოვნების ფონდის ერთ მანეთზე რესპუბლიკაში ცხრა თვის მანძილზე შეადგინა 1,56 მანეთი გეგმით გათვალისწინებული 1,50 მანეთის ნაცვლად. (სსკრინფორმი).

ჯილდოები შრომას აგვირგვინებს

აკადემიკოს ევგენი ხარაძეს კარგად იცნობს სამეცნიერო სამყარო. გამოჩენილი სწავლულისა და მეცნიერების დიდი ორგანიზატორის, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწის მრავალმხრივი ნიჭი ღირსეულად დაგვირგვინდა ოთხი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით, მედლებით. და აი, სამშობლოს ახალი საპატიო ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი, რომელიც მას მიენიჭა მეცნიერების განვითარებაში, სამეცნიერო კადრების მომზადებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცწლეულად დაკავშირებით.

ეს ჯილდო დიდი ოქტომბრის დღესასწაულის წინ ე. კ. ხარაძეს გადასცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ პ. გ. გილაშვილმა, რომელმაც გულითადად მიულოცა მხცოვან მეცნიერს, უსურვა ჯანმრთელობა, ახალი წარმატებანი მეცნიერულ შემოქმედებაში.

— ყოველი ჯილდო ცხოვრებაში ჩემთვის უკეთესი მუშაობის ავანსი იყო, — თქვა ორდენის მიღებისას ე. კ. ხარაძემ, — აი ამ ჯილდოსაც, ასაკის მიუხედავად, ავანსად მივიჩნევ. კიდევ კარგი, რომ ჯანმრთელობა საშუალებას მაძლევს ძალ-ღონის დაუზოგავად ვიშრომო. სულით და გულით მადლობას მოვახსენებ პარტიასა და მთავრობას ჩემი შრომის ესოდენ დიდი დაფასებისათვის...

ექვს მილიონზე მეტი დამთავალეერებელი ეწვია რსდმპ კავკასიის საკავშირო კომიტეტის ავლაბრის არალეგალური სტამბის მუზეუმს მისი არსებობის დღიდან. კომუნისტური მრწამსის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღსაზრდელად ნაყოფიერი მუშაობისათვის და მუზეუმის გახსნის 50 წლისთავთან დაკავშირებით მას გადაეცა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო იმავე დღეს გადაეცა ამხანაგების ჯგუფსაც, რომლებიც დიდხანს და ნაყოფიერად მუშაობდნენ რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ, სამეურნეო ორგანოებში, მრეწველობაში, დამსახურება მიუძღვით ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით წარმოების მუშაკთა დიდ ჯგუფს გადაეცა „შრომის ვეტერანის“ medალები, რომლებითაც აღინიშნა მათი ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი მუშაობა და შრომითი დამსახურება.

ჯილდოები რომ გადასცა პ. გ. გილაშვილმა გულთბილად მიულოცა ყველა დაჯილდოებულს დიდი ოქტომბრის 70 წლისთავი, უსურვა ჯანმრთელობა, დიდი ბედნიერება და წარმატებანი ცხოვრებაში და სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

(საქინფორმი).

პასუხს ველით პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტისა და აჭარის სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

გავუფრთხილდეთ, მოვუაროთ შავ ზღვას

ამ ზაფხულს ხმა დაირხა, ძაღი ზღვა ძალზე გაჭუჭყიანებულიაო. ამის გამო ზღვისპირეთის დამსვენებელი დააკლდა. საგანგაშო ნამდვილად რომ არაფერი მომხდარა, ეს კია, ზოგიერთი დღეები ზღვა დასაშვებ ნორმაზე მეტად იყო გაჭუჭყიანებული.

საქმეში უფრო ღრმად ჩავიხედოთ. ცნობილია, რომ საქართველოში 25 ათასზე მეტი დიდი და პატარა მდინარეა. აქედან ნახევარზე მეტი დასავლეთ საქართველოშია. გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ შრომითი კოლექტივების, მოსახლეობის ერთი ნაწილი ამ სიმდიდრეს დაუდევრად ეპყრობა, ცდილობენ ყოველგვარი ნაგავი, მათ შორის ბაქტეროლოგიურიც, წყალს გაატანონ, იმაზე არ ფიქრობენ, რომ ამით მდინარესაც წამლავენ, ზღვასაც და ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნიან.

შავი ზღვის აუზი მსოფლიოს განსაკუთრებულ ზონად არის მიჩნეული. მისი რესურსების შენარჩუნებასა და დაცვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1976 წლის დადგენილების შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებდა შავი და აზოვის ზღვების აუზების გაჭუჭყიანების თავიდან აცილების ღონისძიებებს, გამოიყო ასობით მილიონი მანეთი. მთავარი ღონისძიებები 1985 წლისათვის უნდა განხორციელებულიყო. ამ დადგენილების შესასრულებლად აჭარაში ბევრი რამ გაკეთდა. აი, მაგალითად, არც თუ ისე დიდი ხნის წინ ნავთობითა და ნახმარი წყლებით ზღვა ზოგჯერ ისე ჭუჭყიანდებოდა, ახლოსაც არ ეკარებოდნენ. ახლა საქმე გამოსწორდა, წარსულთან შედარებაც არ შეიძლება. ამოქმედდა ათობით გამწმენდი ნაგებობა, განხორციელდა სხვა ეფექტური ღონისძიებები, მაგრამ რაც გაკეთდა, უთუოდ საკმარისი არ არის. სამწუხაროდ, მრავლად არიან ადამიანები, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ დიდ საქმეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ნავთობზე უფრო სახიფათოა ის ნახმარი წყლები, რომლებიც ბაქტეროლოგიურად არის გაჭუჭყიანებული. წელს ზაფხულში საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე აკადემიკოსმა ე. ჩაზოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ შავი ზღვის გაჭუჭყიანება მატულობს და იგი მნიშვნელოვნად აღემატება დასაშვებ ნორმასო. კონკრეტულად ვინ ჭუჭყიანებს ზღვასა და მდინარეებს? მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითი:

ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა (დირექტორი ა. ჩინჩალაძე) პირველი ხუთწლედის პირობაზეა. ამორტიზებული დანადგარები და ძველი მილები ვეღარ უძლებენ ექსპლოატაციას. წელს ავარიის სამი შემთხვევა იყო. გასაკლი მილები, მათ შორის ერთი ქალაქში — აგარაკის ქუჩაზე და დაღვარა 6 ტონაზე მეტი ნავთობი. ღია არხებით დაღვრილი ნავთობის ნაწილი ზღვაში ჩავიდა. საწარმოს მოუხდა 300 ათასი მანეთი ჯარიმის გადახდა. დაზარალდა საწარმო, ქალაქი და ზღვა. აი რა მოსდევს ასეთ აკარიას.

ქარხანაში დიდი მასშტაბის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. მისი მთავარი მიზანია, გარეშოს გაჭუჭყიანების თავიდან აცილება. მილები დამონტაჟდება მიწის ზემოთ, რითაც გაიოლდება დაზიანების ადგილის მონახვაც და შეკეთებაც. დაამონტაჟეს ახალი დანადგარი, რომელიც წყლებს ბრუნვას ითვალისწინებს. ამ მეთოდით ყოველ კვარტალში 5 მილიონი კუბური მეტრით ნაკლები სუფთა წყალი დაიხარჯება. უკვე შეაკეთეს გამწმენდი ნაგებობა. ლტრ წყალში ნორმით ნავთობი 20 მილიგრამს არ უნდა აღემატებოდეს. ამჟამად ეს ნორმა დაცულია, მაგრამ ამ ნორმითაც დღეღამეში ზღვაში ჩაედინება ტონაზე მეტი ნავთობი.

ქარხნის ხელმძღვანელები ძალაყოფილი არიან № 5 სამშენებლო ტრესტის იმ სამმართველოებისა, რომლებიც საწარმოს რეკონსტრუქციაზე მუშაობენ. მათ წინა კვარტალში გრაფიკს გაუსწრეს და პირველი რიგის ნაგებობა ვადამდე დაამთავრეს. ეს რა თქმა უნდა, მისასალმებელია, მაგრამ სასურველია ტემპი არ შეანელონ და მეორე რიგის მშენებლობა მომავალ საკურორტო სეზონის დადგომამდე დაამთავრონ.

ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რამდენიმე ჰექტარი დაფარულია მყავე, გუდრონით, რომელიც 1935 წლიდან ნარჩენების სახით გროვდებოდა. ვარაუდობენ, რომ იგი 40 ათას ტონაზე მეტი იქნება. ნარჩენებით ზიანდება ტერიტორია, იწვევს უარყოფით რეაქციას. ამჟამად ქარხნის დაკვეთით ბაკურიეთის ნავთობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტები ამ უშავებენ. მყავე გუდრონის სამრეწველო გამოყენების საკითხს. ქარხნის რეკონსტრუქცია, რომელიც XII ხუთწლედში გაგრძელდება, გადაწყვეტს გაჭუჭყიანებისაგან ზღვის დაცვას.

საკმარისია დაათვალიეროთ **რკინიგზის ბათუმის სატვირთო სადგურის (უფროსი ვ. ბლიაძე, სალინდგაგო დისტანციის უფროსი ი. კვაჭაძე, სავაგონო დეპოს უფროსი ვ. ცირეკიძე) ლინდგაგები, მომიჯნავე ტერიტორია, უმალვე თვალში გეცემათ მაზუთის გუბეები, დასვრილი ხაზები.** ვნახეთ ვაგონების სამრეცხაო უბანი. ვაგონების ტექნოლოგიური დამუშავება რთული პროცესია, მაგრამ ეს რკინიგზელებს პასუხისმგებლობისგან როდი ათავისუფლებს. უბანზე მაზუთისა და ნავთობის ისეთი სქელი ფენაა, ახლოს ვერ მიეკარებით. კარი მეურნე იქაურობას გულდაგულ გაწმენდს. ასე თუ არ მოხდა, საწრეტი არხები წვიმების დროს აივსება და გაჭუჭყიანების საფრთხე შეიქმნება. საზღვაო ნავსადგურის საწყობის ტერიტორიაზე რკინიგზელებს აქვთ პატარა სიმძლავრის ბუფერული ტევადობის ნაგებობა. იგი ვეღარ ამართლებდა დანიშნულებას, მთლიანად ვერ ატარებდა გაჭუჭყიანებულ წყალს. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო მშენებლობის ტრესტმა ააშენა დიდი მოცულობის ბუფერული ტევადობის ნაგებობა. მშენებლებმა გვითხრეს, რომ მას ჩქარა გადასცემენ საექსპლოატაციოდ.

ერთი აშკარაა. **იმ პრობლემებს, რაც რკინიგზელთა წინაშე დგას, ახალი ბუფერული ნაგებობა ვერ გადაწყვეტს. რკინიგზის კვანძის მთელ ტერიტორიას დასუფთავება და წესრიგში მოყვანა სჭირდება.** გარდაქმნის პროცესი საქმეს უნდა დაეტყოს. უნდა ამაღლდეს პასუხისმგებლობაცა და შრომის კულტურაც.

დიდ საწარმოებსა და რკინიგზის კვანძში ბუნების დასაცავად ყველაფერი მაქსიმალურად რომ არ კეთდება, ეს ერთ

ერთგულების სამოცდაათი წელი

ᲖᲝᲗᲐ ᲒᲝᲠᲒᲝᲫᲔ,

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, შინაგანი სამსახურის გენერალ-მაიორი.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვანი იუბილეს კვალდაკვალ საბჭოთა ხალხი ზეიმით აღნიშნავს კიდევ ერთ შესანიშნავ თარიღს — საბჭოთა მილიციის შექმნის 70 წლისთავს. მილიცია ოქტომბრის პირველ და თანატოლია. იგი საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად იშვა, მის მხარდამხარ განვლო გმირული შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა. ასე იყო რევოლუციის პირველ დღეებში, სამოქალაქო და სამამულო ომის მრისხანე წლებში, ომისშემდგომი მშვიდობიანი აღმშენებლობის პერიოდში; ასევეა ამჟამადაც, როცა სკკპ XXVII ყრილობამ დღის წესრიგში მთელი სიმწვავით დააყენა ნაკლოვანებათა დაძლევისა და მუშაობის ახლებურად გარდაქმნის საკითხი.

შეიძლება სიამაყით ითქვას, რომ მილიციას არასოდეს გადაუხვევია კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის მაღალი პრინციპებიდან, რაც იმთავითვე განსაზღვრეს მისმა ორგანიზატორებმა, საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილმა მოღვაწეებმა ფ. ე. ძერჟინსკიმ, მ. ვ. ფრუნზემ, კ. ე. ვოროშილოვმა, გ. ი. პეტროვსკიმ და სხვებმა.

თავისი ისტორიული განვითარების პროცესში, დროის მოთხოვნათა კეთილობაზე, იცვლებოდა შინაგან საქმეთა ორგანოების ფუნქციები, სტრუქტურა და ორგანიზაციული წყობა, მაგრამ უცვლელი რჩებოდა მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულება და შინაარსი — სოციალისტური სამშობლოსადმი, პატრიოტი და ხალხის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულება და თავდადება.

სწორედ ეს თვისებებია ნიშანდობლივი საბჭოთა ჩეკისტების ერთ-ერთი მოწინავე რაზმის — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებისთვისაც. დიდი ამაგი დასდეს საქართველოში მუშურ-გლეხური მილიციის შექმნისა და ფორმირების საქმეს გამოჩენილმა რევოლუციონერებმა ს. ორჯონიკიძემ, მ. ცხაკაიამ, ფ. მახარაძემ, მ. ორახელაშვილმა, ს. გეგეჭკორმა და სხვებმა. ჩვენ შესანიშნავი მუშაკები გვყავდა, როგორებმაც თავიანთი მაღალი პროფესიონალიზმის, დანაშაულისადმი მკაცრი შეურიგებლობისა და სხვა საუკეთესო პიროვნული თვისებების წყალობით დიდი სახელი და ავტორიტეტი შეუქმნეს საქართველოს საბჭოთა მილიციას — ფართო საზოგადოების პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურეს. მათ შორის უწინარეს ყოვლისა უნდა მოვიხსენიოთ გრიგოლ კარანაძე, კაპიტონ ნაჭყებია, მიხეილ გრიგოლია, იაკობ ეღენტი, გიორგი შელია, გრიგოლ შალამბერიძე, ვალერიან თალაკვაძე, ნიკოლოზ ჯიბლაძე, ვასილ მენაღარიშვილი, კონსტანტინე გაგუა და სხვები.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ დიდხანს და ნაყოფიერად მუშაობდნენ შინაგან საქმეთა ორგანოებში დიდი სამამული ომის გმირები და ვეტერანები ვ. ჯანჯღავა, ა. პირმისაშვილი, ვ. ლურსმანაშვილი, გ. რაზმაძე, გ. შაბანოვი, ვ. ესებუა, ნ. ჯაფარიძე და მრავალი სხვა. მილიციის მუშაკებს ეამაყებათ, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებს კარგახანს თავკაცობდა ომგადახდილი გმირი, ღირსეული მამულიშვილი, პატიცემული ალექსი ინაური. იგი დღესაც არ გვაკლებს ყურადღებას და მუდამ დახმარების ხელს გვიწვდის საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

მრავალი წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რესპუბლიკის მილიციის თვისებრივი განახლება, მისი ინტელექტუალური ზრდა და რესპუბლიკაში მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროს გაჯანსაღებისათვის ბრძოლის დაწყება. დღესაც წარმატებით ფუნქციონირებს და მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევა შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი, რომელიც სწორედ ამ ოციოდე წლის წინათ შეიქმნა და რომლის გამოცდილებასაც ამჟამად ინტერესით სწავლობენ მოკავშირე რესპუბლიკათა შინაგან საქმეთა ორგანოები.

გულში სათუთად ვინახავთ დაბნეულებთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაღუპულ შეგობართა ნათელ ხსოვნას. ესენი არიან: გიორგი ჯაფარიძე, ვლადიმერ შაქარაშვილი, ბორის მშვილდაძე, მამა-შვილი ალექსი და ვალერი ტუღებები, გაიოზ და არჩილ აშკარელები, ვასილ გელაშვილი, ვლადიმერ წულუკიძე, იასონ პაპკიაური, ფაზლი ჩამაგუა, ლევან მგალობლიშვილი, კონსტანტინე გოგრიჭიანი, გივი გიორგაძე, ვაჟა ყორიაული, ნარიმან ბაირამოვი, ბენო რაზმაძე, ემელიანე ბოგვერაძე, ავთანდილ კირვალიძე, იზოლდა ბარამიძე, ანზორ ბურდული, ალიოშა რზგოევი, ილო ტაბუაშვილი, ნიკო ვარამაშვილი, გიორგი ჩუბინიშვილი, ყაზბეგ ასაევი, ელგუჯა ჭეიშვილი, არჩილ ჩუბინიძე, ჯემალ ბიძინაშვილი, სულიკო ჩუბინიძე, აბელ მუნკურიანი, ბორის სპუკოევი, ეორა დანელია, გივი გუზიტაშვილი, თამაზ ნემსწვერიძე, მინას სტეპოიანი, ჰამლეტ დათუაშვილი, პეტრე თუშიშვილი, შახრ ახმედოვი, სარდიონ გუბიანური და სხვები, რომელთა მაგალითზეც დღეს თაობები იზრდებიან.

სიამაყის გრძნობით მინდა აღვნიშნო, რომ გმირული ესტაფეტა გრძელდება და არც არასოდეს გამწყდარა ჯაჭვი ძველი და ახალი თაობის ჩეკისტთა სახელოვანი ტრადიციებისა. მილიციაში დღესაც მრავლად არიან გმირული სულისა და შემართების ადამიანები, ისინი, ვისთვისაც ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან მოთხოვნილებად ქცეულა, თუმცა თვითმზაანი არ არის. ნათქვამის საილუსტრაციოდ ერთ მაგალითს მოვიხმობ ახლო წარსულიდან: ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ახლანდელი უფროსი რომან გვენცაძე შაინ სისხლის სამართლის სამძებროს რიგითი თანამშრომელი იყო; ხელმძღვანელობამ იგი პასუხსაგები დავალებით მიავლინა ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც მას სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება მოუხდა საშიშ დანაშაულთან. როცა მოწინააღმდეგე დარწმუნდა, რომ ბრძოლას იგებდა, გადაწყვიტა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე. სისხლისგან იცლებოდა და ოდნავ ფეთქავდა უკვე, როცა რ. გვენცაძე თავს წაადგა მას. ის, რაც მილიციის ახალგაზრდა მუშაკმა ამ სიტუაციაში მოიმოქმედა, მხოლოდ მორალური კანონებით იყო ნაკარნახევი: გვენცაძემ ზურგზე აიკიდა მომაკვდავი და მიიყვანა უახლოეს საავადმყოფოში, ხოლო შემდეგ, როცა საჭირო გახდა, როგორც დონორმა, უყოყმანოდ გაიღო მისთვის საკუთარი სისხლი.

დღეს, როცა დაუნდობლად ვებრძვით ბაროვნების სტერეოტიპულ ფორმებს, რუტინას, ბიუროკრატიზმსა და უსულგულობას, სულ უფრო მეტ შინაარსს იძენს საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტება, რომ დამნაშავედ არავინ იბადება, რომ იგი აღზრდისა და ყოფის ნაკლოვანებათა ლოგიკური შედეგია, რაც საბოლოო ანგარიშით სოციალური სამართლიანობის პრინციპებიდან გადახვევით არის განპირობებული. ამისათვის კი პასუხისმგებლობა თანაბრად გვეკისრება ყველას, მთელ საზოგადოებას. ამრიგად, დამნაშავეში ჩვენ ცდომილ მოქალაქეს ვხედავთ, და არა გამოუსწორებელ მტერს. ჩვენი მიზანია გადავარჩინოთ ადამიანი, არ დავუშვათ მისი საბოლოო დაცემა. ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა შევუნარჩუნოთ იგი საზოგადოებას, ოჯახს, საკუთარ თავს.

აქედან ლოგიკურად და ბუნებრივად იკვეთება შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის ძირითადი მიმართულება და მაგისტრალური ხაზი — აღმკვეთ-პროფილაქტიკური მუშაობა. ცხადია, ყოველივე ეს ჩვენი უპირველესი მოვალეობაა. ამ და სხვა ფართოდ საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის საიმედო გარანტიაა ის დიდი მზრუნველობა და პრაქტიკული დახმარება, რომელსაც გვიწევენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

პარტიის XXVII ყრილობის მიერ ჩვენ წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტაში ნაყოფიერ ნიადაგს გვიქმნის ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნის, საჯაროობისა და დემოკრატიის განვითარების, ნაკლოვანებათა მხილებისა და მათი დაძლევის, მშრომელთა ინიციატივის გაძლიერებისა და ადამიანის ფაქტორის მნიშვნელობის ზრდის, ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეუცვლელი პროცესები, რასაც უახლოეს მომავალში უნდა მოჰყვეს მოსახლეობის მატერიალური და სულიერი ცხოვრების დონის ამაღლება. რა თქმა უნდა, ეს თანდათანობით საფუძველს გამოაცლის დანაშაულს გამომწვევ და ხელშემწყობ მიზეზებს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს მეტად რთული, ხანგრძლივი პროცესია და იგი ერთი ხელის დაკვრით არ გადაწყდება. საჭიროა მთელი ძალების, მთელი ჩვენი შინაგანი რესურსების მობილიზება, მოქალაქეობრივი გაბედულება და ყველა იმ ნაკლოვანებათა წინააღმდეგ ბრძოლა, მათი მხილება, რომლებიც ხელს გვიშლის წინსვლაში.

ცხადია, ნათქვამი ეხება თვით შინაგან საქმეთა ორგანოებსაც. დასამალი არ არის, რომ წლების მანძილზე ჩვენს მუშაობაშიც იკიდებდა თანდათან ფეხს ნეგატიური მოვლენები.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩვენ უპირველეს და გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია შინაგან საქმეთა ორგანოების კომპეტენტურობის, პროფესიული ღონის ამაღლების, მისი რიგების სიწმინდისათვის ზრუნვა. ამ მხრივ სამინისტროს აპარატში უკვე დაიდგა პრაქტიკული ნაბიჯები და კვლავაც ხორციელდება ღონისძიებანი კადრების სწორი შერჩევისა და განაწილებისათვის. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ძირეულ რგოლებში — შინაგან საქმეთა რაიონულ და საქალაქო განყოფილებებში, თუმცა დადებითი ძვრები აქაც შეიმჩნევა. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ ავტოინსპექციის სამსახურის საუკეთესო კადრების დაკომპლექტების მიზნით გამოცხადებული კონკურსი.

იმას, თუ რა დიდ მოთხოვნებს ვუყენებთ მისაღებ კონტინგენტს, მოწმობს ის ფაქტი, რომ სპეციალურმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ როგორც შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები, ასევე საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, — წარმოების მოწინავენი, ლიტერატურის, კულტურისა და ხელოვნების მუშაკები, კონკურსში მონაწილე 200 ახალგაზრდიდან მხოლოდ 14 ცნო ავტოინსპექციაში მუშაობის ღირსად.

ანალოგიური კონკურსები პერიოდულად სხვა სამსახურებშიც მოეწყობა, რაც მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს შინაგან საქმეთა ორგანოების კადრებით დაკომპლექტების ხარისხს. გარდა ამისა, ჩვენ სისტემატურად ვამხილებთ და ვააშკარავებთ ჩვენს რიგებში ნდობადაკარგულ უღირს თანამშრომლებს, რომლებმაც სახელი გაიტეხეს საზოგადოების თვალში.

შინაგან საქმეთა ორგანოების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების კიდევ ერთ, უმნიშვნელოვანეს რეზერვად მიგვაჩნია პირად შემადგენლობას შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესება. ამ მხრივ დიდ მუშაობას ეწევიან სამინისტროს პოლიტიკური განყოფილება და პარტიული კომიტეტი. იგივე შეიძლება ითქვას პროფესიული ცოდნის ამაღლების მნიშვნელობაზე, რაც დიდად ზრდის მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობის, კოლექტივისადმი პატივისცემისა და „შუნდერის ღირსების“ გრძნობას.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ. დადგენილებაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ კანონის განუხრელი დაცვა, მოქალაქეთა უფლებების, გარანტიებისა და ინტერესების დაცვის შემდგომი გაძლიერება, საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ნორმალური ფუნქციონირების, ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების აუცილებელი პირობაა.

სამწუხაროდ, შინაგან საქმეთა ორგანოებში ჯერ ისევ ვაწყდებით სოციალისტური კანონიერების უხეშ დარღვევათა ფაქტებს, რაც განსაკუთრებით შეუწყნარებელია დღეს, გარდაქმნისა და საჯაროობის პირობებში. მსგავსი დარღვევებისა და გადაცდომებისათვის ბევრი თანამშრომელი დავითხოვეთ ორგანოებიდან, ზოგი მათგანი სისხლის სამართლის მომადგენლები.

გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული ნარკოტიკული თრობის ხარისხის განსაზღვრა. ვიდრე ექვმატანილ პირს ექსპერტთან მიიყვანენ, ნარკოტიკი ზმირად უკვე კარგავს ზემოქმედების ძალას, რაც დამნაშავეს შესაძლებლობას აძლევს თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობისაგან. ამჟამად ოპერატიულ სამსახურთან შექმნილია მოძრავი ლაბორატორია, რაც აიოლებს ნარკომანიის დიაგნოსტიკას.

ჯერ კიდევ ნარკომანიისათვის მსჯავრდადებულნი სასჯელს იხდიან საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში, რაც ყოველად გაუმართლებელია და უარყოფით გავლენას ახდენს როგორც მთაზე, ასევე სხვა მსჯავრდადებულებზეც. ამჟამად წყდება მათთვის ცალკე კოლონიის შენებლობის საკითხი, სადაც ერთი მხრივ, გათვალისწინებულია გამოუსწორებელ ნარკომანთა იზოლირება, ხოლო, მეორე მხრივ, ამ სენით იოლი ფორმებით დაავადებულთათვის ყველა პირობა შექმნება სამკურნალოდ.

ბოლო დროს ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა თანდათან მეცნიერულ ხასიათს იძენს. გადადგმულია ნაბიჯები მოკავშირე რესპუბლიკების შინაგან საქმეთა ორგანოების ღონისძიებათა ურთიერთკოორდინაციისათვის, რაც დადებითს ნაყოფს გამოიღებს ნარკოტიკების შემცველ მცენარეთა პლანტაციების აღმოჩენა-განადგურების, მათ დამამზადებელ და გამავრცელებელ პირთა მხილებაგაუვნებლების საქმეში.

ყველა ეს ღონისძიება საჭირო და აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არ არის ამ საშინელი სენის აღსაკვეთად. ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის ყველაზე ეფექტიანი საშუალება მაინც აღმკვეთ-პროფილაქტიკური მუშაობაა, ამისათვის კი საჭიროა ფართოდ გავწიოთ ახსნა-განმარტება, შეექმნათ შეურიგებელი საზოგადოებრივი აზრი და კარგად მოფიქრებული მეცნიერული რეკომენდაციები, რასაც თან უნდა ახლდეს საერთოდ მორალურ-ზნეობრივი კლიმატის საერთო გაჯანსაღება.

ნარკომანია და „ქურდული რომანტიკა“, რომლებზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, თავის დაძლევაკენ გავლენასა და გამოხატვას არასრულწლოვანთა დანაშაულში პოულობს, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს რამდენადმე შემცირდა მოზარდთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობა, მდგომარეობა კვლავ არასახარბიელია. ჯერ ისევ მაღალია ამ დანაშაულში სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ხვედრითი წილი. არ არის დაშაარებული საქმიანი, მჭიდრო კონტაქტები მილიციის მუშაკებსა და პედაგოლეტივებს შორის, რის გამოც დანაშაულისადმი მიდრეკილი ბევრი მოზარდი დროულად არ ხვდება ჩვენი თვალთახედვის არეში, არ ხერხდება მათ მიმართ ადრეულ სტადიაში პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება.

ბოლო დროს რესპუბლიკაში და, კერძოდ, ქ. თბილისში იმატა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულობებმა. მათი უმრავლესობა ჩადენილია მოზარდთა მიერ დანისა და სხვა იარაღების გამოყენებით. ამ მდგომარეობამ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის შეშფოთება გამოიწვია.

დიახ, ჩვენ ყველანი უნდა დაფიქრდეთ იმ უგულებრების წინააღმდეგ, როცა წამიერ ემოციებს ადამიანი ეწირება. უფრო მიზანდასახულად უნდა ხორციელდებოდეს პროფილაქტიკური ღონისძიებანი — რეიდები შინაგან საქმეთა ორგანოებისა, და კომკავშირული ორგანიზაციების, პედაგოგთა და მშობელთა კოლექტივების მონაწილეობით (არასრულწლოვანებისა და სტუდენტი ახალგაზრდობისაგან დანებისა და სხვა იარაღების ამოღების მიზნით. საქმე ისე უნდა წარვმართოთ, რომ ბრძოლას ეწევა ამ მახინჯი მოვლენის წინააღმდეგ და, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვან წარმატებასაც მივაღწიეთ. ისინი, ვინც თავისთავს „კანონიერ ქურდს“ უწოდებდა, იზოლირებული არიან საზოგადოებისაგან და მათი ანსოლუტური უმრავლესობა სასჯელს იხდის რესპუბლიკის გარეთ, მკაცრი კლიმატის ზონაში განლაგებულ შრომა-გასწორების კოლონიებში. ბევრმა მათგანმა შეიგნო ქურდული ტრადიციებისადმი ჯიუტი ერთგულების უაზრობა და ჩაება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. ჩვენ მზად ვართ ყველანაირად დავეხმაროთ გამოსწორების გზაზე მდგარ ყველა დანაშაველს და ხელს შევუწყობთ საზოგადოების ნამდვილ წევრებად ჩამოყალიბებაში. ასეთი მაგალითები ბევრია. ნიშანდობლივი ის გახლავთ, რომ უკვე ფარდა აეხადა ეგრეთ წოდებული „ქურდული რომანტიზმისი“ სიყალბეს. გაბრიყვებულმა ახალგაზრდებმა შეიგნეს ამ „გატაცების“ დამღუპველი არსი, თანდათან დგებიან აქტიურ მოქალაქეობრივ და ცხოვრებისეულ პოზიციებზე. ამ მიმართულებით ბრძოლა კვლავ გაგრძელდება, ვიდრე საბოლოოდ არ ამოიშანთება ჩვენი ყოფიდან ეს მახინჯი მოვლენა.

მეორე დიდი სატკივარი, რომელიც ლამის ეროვნულ უბედურებად გვექცეს, ნარკომანია. ეს სოციალური სენი იმ ნეგატიურ ფესვებზე აღმოცენდა, ბოლო წლებში რომ მოიკიდა ფეხი ჩვენს საზოგადოებაში. მხედველობაში გვაქვს კერძომესაკუთრული ინსტინქტების გაღვიძება და უშრომელი შემოსავლისთვის გამოდევნება. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ნარკომანები ძირითადად ქურდები და უშრომელი შემოსავლით გალაღებული ოჯახის შვილები არიან. სწორედ მათი მორალურ-ზნეობრივი სიღატაკე ქმნის ნაყოფიერ ნიადაგს ამ სენის გავრცელებისათვის და მათვე მიუწვდებათ ხელი შავ ბაზარზე ცეცხლის ფასად ღირებულ ამ დამღუპველ შხამზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური განყოფილება. ბოლო დროს გამოვლენილია მრავალი ნარკომანი და ნარკოტიკების გამავრცელებელი, ამოღებულია გაცილებით მეტი ნარკოტიკული ნივთიერებები, ვიდრე წინა წლებში. ყოველ ღონეს ვხმარობთ რესპუბლიკაში ნარკოტიკების შემოსაზღვრა გზების გადასაკეტად. უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილია ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის კაბინეტები, სადაც ორგანოს მუშაკებთან ერთად ჩაბმულნი არიან ექიმ-ნარკოლოგები, პედაგოგები, კომკავშირული აქტივი, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმადგენლები.

გარკვეული სიძნელეებია ასევე ალკოჰოლიზმთან ბრძოლა. ეს ბოროტება ფესვებს ღრმავდება. ამ ბოროტებამ ბევრ ოჯახში ბედნიერება ფეხქვეშ გაგვითელა. ალკოჰოლიზმი ბევრ ოჯახში ბედნიერ ოჯახებს ანგრევს. ეს ბოროტება ბევრ ადამიანს ბოროტ, ბოროტ ადამიანად ქცევა. ალკოჰოლიზმი

ახალგაზრდობა — ქვეყნის ვარდობა, ახალგაზრდობა — იმედი ხვალის... რაოდენ დიდი ჭეშმარიტებაა პოეტის ამ სიტყვებში: ახალგაზრდობა ხომ მართლაც მუდამ იყო, არის და იქნება უფროსი თაობის სასახელო საქმეთა ღირსეული განმგრძობი, ქვეყნის იმედი და მომავალი...

დღეს ახალგაზრდობის მსოფლიო დღეა. ამ თარიღს ერთნაირად ზეიმობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე მოსწავლე და სტუდენტი ბიჭები და ქალები, ავლაბელი და ფილიპინელი, ინდოელი თუ ვენესუელელი, კამპუჩიელი, ნიკარაგუელი და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში ეუფლებიან მეცნიერების მწვერვალებს და ადამიანთა შორის მეგობრობის განმტკიცებაზე, ქვეყნად მშვიდობიან, უღრუბლო ცაზე ოცნებობენ. ნუთუ გაცუდებოდეთ ოდესმე ეს ოცნება!

ჯ. ლომაძის ფოტო.

ინტერვიუ

ელიან მუყაით, გამრჯე ახალგაზრდებს

უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელი განყოფილებები მალე ახალ შევსებას მიიღებენ. ამის შესახებ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე გენადი მაჭაკაბარიძე.

— წლითიწლობით სულ უფრო სრულყოფილი ხდება უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების საქმიანობა. მათი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს, რომლებმაც თავიანთი კარგი ყოფაქცევით და სიბეჯითით სათანადო ავტორიტეტი მოიპოვეს შრომითს კოლექტივებში, თავი ისახელეს სამხედრო სამსახურში, საუკეთესო მიზნის მიღწევაში.

წელს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე სულ 1321 მსმენელს მიიღებენ, მათ შორის 315-ს ადგილობრივ და დაუსწრებელი სწავლების ფორმებისათვის.

— ჩვენი გაზეთის მკითხველებს ყველაზე უფრო უთუოდ ის აინტერესებთ, თუ ვის აქვს მოსამზადებელ განყოფილებაზე შესვლის უფლება.

— წლეულს, ადრინდელისაგან განსხვავებით, მოსამზადებელ განყოფილებებზე იღებენ სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში დასაქმებულ მუშებს, აგრეთვე კოლმეურნეებს, რომელთაც პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი აქვთ და საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები სათანადო მიმართვებს მისცემენ. ასეთივე უფლება აქვთ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს. მათ შესაბამის მიმართვას სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობა აძლევს.

— კიდევ რა კატეგორიის ახალგაზრდებს შეუძლიათ „სცადონ ბედი?“.

— სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე (დღის სწავლების ფორმაზე მოგახსენებთ) იღებენ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ორი წელი მაინც უმუშავიათ სანიტარად ან უმცროსი სამედიცინო პერსონალის თანამდებობებზე.

გარკვეული კატეგორიის ახალგაზრდებს ასევე ენიჭებათ უფლება შევიდნენ პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე ინსტიტუტების მოსამზადებელ განყოფილებებზე. კერძოდ, სპეციალობებზე — „საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი“, „საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი სოფლის მეურნეობაში“ მიიღებენ იმათ, ვინც დასაქმებულია აღრიცხვითი და ანალიზით.

პედაგოგიური ინსტიტუტების მოსამზადებელ განყოფილებებზე შესვლა შეუძლიათ უფროს პიონერტანმძღვანელებს, რომელთაც ამ თანამდებობაზე არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟი აქვთ. იღებენ აგრეთვე მოწინავე მუშებსა და კოლმეურნეებს, თუ შრომითი კოლექტივის რეკომენდაცია ადასტურებს, რომ ისინი გამოირჩევიან პედაგოგიური საქმიანობისადმი მიდრეკილებით.

რაც შეეხება თელავის პედინსტიტუტის სპეციალობას „დაწყებითი სამხედრო სწავლება და ფიზიკური აღზრდა“, მისთვის მისაღებ კონტინგენტს უშუალოდ შეარჩევენ სამხედრო კომისარიატები განათლების ორგანოებთან ერთად.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ქიმიისა და მეტალურგიის სპეციალობებზე იღებენ მხოლოდ მამაკაცებს.

არის კიდევ ერთი სიახლე: მოსამზადებელ განყოფილებებზე შესვლის უფლება წელს პირველად მიეცემა იმათ, ვინც ადრე სხვადასხვა მიზეზის გამო გაათავეს უმაღლესი სასწავლებლებიდან და მოსამზადებელი განყოფილებებიდან, ოღონდ იმ პირობით, თუ გარიცხვის შემდეგ სანიტარად ან საწარმო-დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა ან სამეურნეობებში მუშაობის ორი წლის სტაჟი მაინც აქვთ.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით მოსამზადებელ განყოფილებებზე სპეციალურად გამოყოფთ ადგილები მაღალმთიანი რაიონებიდან გადმოსახლებულებს, რომლებიც სტიქიური უბედურების დროს დაზარალდნენ, ზოგიერთი სხვა კატეგორიის ახალგაზრდებს.

— რა მონაცემების გათვალისწინებით ჩაირიცხებიან განყოფილებებზე შესვლის მსურველნი?

— მოსამზადებელ განყოფილებებზე სიბეჭდების მიღების, გასაუბრების მოწყობისა და ჩასარიცხთა შერჩევისათვის უმაღლეს სასწავლებლებში შექმნილია მიმღები კომისია. კომისიაში შედიან მოსამზადებელი განყოფილების გამგე (თავმჯდომარე), სასწავლებლების პედაგოგები, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოთა წარმომადგენლები.

გასაუბრებაც და ჩარიცხვაც უნდა მოხდეს ფართო საჯაროობის დაცვით.

ჩარიცხვისას პირველ ყოვლისა ითვალისწინებენ ახალგაზრდის ცოდნის დონეს, პროფესიულ ინტერესებსა და მიდრეკილებებს, მის საწარმოო და საზოგადოებრივ საქმიანობას. თანაბარი მონაცემების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება იმას, ვისაც მუშაობის მეტი სტაჟი აქვს განსაკუთრებით არჩეული ან მისი მონათესავე პროფესიის მიხედვით.

უპირატესობა ჩარიცხვისას ენიჭებათ იმათ, ვისაც სწავლის პერიოდში დიფერენციალური შემოღებული საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები უზრუნველყოფენ სტიპენდიით.

სხვათაშორის, მოწინავე ახალგაზრდას, რომელმაც შრომითს კოლექტივში სულ ცოტა 2 წელი იმუშავა, წარმოება უნიშნავს 30 პროცენტით მეტ სტიპენდიას, ვიდრე ჩვეულებრივ ენიშნებათ ხოლმე პირველ კურსზე. 3 წლისა და მეტი ხნის შრომითი სტაჟის მქონეთ სტიპენდია 50 პროცენტით ეზრდებათ.

მოგეხსენებათ, უმაღლესი სკოლის რეფორმასთან დაკავშირებით, საწარმოები, რომელთაც სჭირდებათ უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, ხელშეკრულებას სდებენ სასწავლებლებთან და სტიპენდიის გარდა ანაზღაურებენ სპეციალისტის სწავლისათვის საჭირო ხარჯებს. ასეთ საწარმოთა წარმომადგენლები მოსამზადებელ განყოფილებაზე პირველ რიგში ჩაირიცხებიან.

მინდა დავარწმუნო ახალგაზრდები, რომ მათ უმაღლეს სასწავლებლებში დახვდებათ კეთილმოსურნეობის ატმოსფერო და ჩარიცხვისას დაცული იქნება სრული საჯაროობა და ობიექტურობა.

ფელეტონი

როგორც ჩანს, ადამიანი ასაკში რომ შედის, ნოსტალგიის გრძნობა უმძაფრდება. მეც ასე დამემართა. ბორჯომში მივლინებით ჩავედი და უეცრად ქუჩაში „პობედა“ დავინახე ტაქსის ყველა ატრიბუტით. მობაგონდა ბავშვობა, წარსული და კიდევ ბევრი რამ... მანქანას რომ მივუახლოვდი, მივხედი, რომ ტაქსი „პობედა“ არ იყო. დაჭყლეტილი, მიღრეცილ-მოღრეცილი, უკიდურესობამდე შელანძღული რაღაც, ჩემთვის უცნობი მარკის მანქანა აღმოჩნდა. კარგად რომ დავაკვირდი, გაზ-24-ის რამდენიმე ელემენტიც შევამჩნიე. ეტყობა, იგი ოდესღაც „ვოლგა“ უნდა ყოფილიყო. ის იყო, უკაცრაული პასუხია, მანქანაში ჩავჯექი, რომ ვიღაც ბორჯომელმა მძღოლს ჰკითხა:

— რამ დაგიჭყლიტა ასე მანქანა? ვედროს მაგივრად ჭაში ხომ არ უშვებ ხოლმე?

მძღოლმა არაფერი უპასუხა. რის გაი-ვაგლახით ჩართო სიჩქარე, ღრჭიალითა და ჭრიჭინ-ფარფხუნით აუყვა აღმართს. საქმე სამგზავრო ავტობუსების გარაჟში მქონდა. რედაქციის მოსწერა წერილი მძღოლმა გოდერძი ხუბიაშვილმა:

„ამუშაობ ბორჯომის სამგზავრო საწარმოში 1961 წლიდან. 1969 წლიდან ვარ სკკპ წევრი. მყავს ცოლი და სამი შვილი. 1986 წელს ჩამომიწერეს ავტობუსი, როგორც მოწინავე მიმამაგრეს „იკარუსზე“, რომლიდანაც მოხსნილი იყო მძღოლი უბილეთო მგზავრების გადაყვანისათვის. ამ ავტობუსზე ვიმუშავე ერთ წლამდე. 1987 წელს აღადგინეს მოხსნილი მძღოლი, მე კი დავრჩი უმანქანოდ, დავკარგე ახალი მანქანის მიღების რიგიც. ჩემი მუშაობის დროს სისტემატურად ვასრულებ გეგმებს 106-111 პროცენტით. წარმოების ხელმძღვანელობა კი მანქანებს აძლევს იმ მძღოლებს, რომლებმაც ჩემს შემდეგ ჩამოსწერეს მანქანები. მათ არც გეგმების შესრულება აქვთ და არც ჩემზე უკეთესი მონაცემები“...

...დილიდან გვიან საღამომდე ვიჯექი სამგზავრო ავტოსაწარმოო გაერთიანებაში — რა თქმა უნდა, საქმის ვითარების გარკვევა მინდოდა.

— გოდერძი ხუბაშვილი ერთი-ერთი მოწინავე მძღოლი და კარგი მეგობარია. სამწუხაროა, რომ მანქანა არა ჰყავს, — ერთხმად ამბობენ ხელმძღვანელებიც და მძღოლებიც, — მაგრამ მანქანა მაინც არ ერგება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მან „მაგარი“ ავტობუსი ჩამოწერა და ახლა „რბილ“ ავტობუსზე უნდა დაჯდომა...

— თქვენთან რაიმე რიგი არსებობს? — ვკითხე.

— როგორ არ არსებობს, მაგრამ... „რბილის“ რიგი სხვა არის, „მაგრისა“ — სხვა...

— აღარ შემიძლია, ბატონო, „მაგარზე“ ჯდომა... დავიღალე, ბატონო! — „რბილის“ ღირსი აღარ გავხდი? — გაიძახოდა გოდერძი.

— ჩვენგან რა გინდა, შე კაი კაცო? ეს „კანონი“ ავტორანსპორტის სამინისტროს შემოიღო, — შეეპასუხა ერთი მძღოლი.

— ამ „კანონის“ თანამამად, მე მეკუთვნის „რბილი“ „იკარუსი“, იმიტომ რომ ამ დღეებში მე ჩამომიწერეს „იკარუსი“ და ისევ „იკარუსზე“ უნდა დავჯდე! — ავტორიტეტულად განაცხადა მეორე მძღოლმა.

— კი მაგრამ, მე რომ ამდენი ხანია უმანქანოდ ვარ, ხან ვისი შემცველი ვარ და ხან ვისი? აღარ მეშველება რამე? — არ ცხრებოდა გოდერძი.

— შენ გასაგებად გითხრეს — დაჯექი „მაგარზე“... — უპასუხეს.

— აღარ შემიძლია-მეთქი, ხალხო, ნამუსი აღარ არის?

— მაშინ დაიცადე, სანამ ვინმე გაკა პენსიაზე ან... და ადგილიც განთავისუფლდება, — უფრო ავტორიტეტულად ჩაურთო მესამე მძღოლმა.

ყველა ერთხმად ამბობს, გოდერძი კარგი ბიჭია, გაჭირვებაშიც ღმერთმა მოგიცესო, მაგრამ...

ცოტა ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. უხერხული სიჩუმე. გოდერძიმ მაინც ვერ მოითმინა და:

— კი მაგრამ, ხომ შეიძლება **დაშავდეს** მძღოლი, მგზავრები?

...ბინდდებოდა. სიგარეტის ბოლში ვეღარ ვხედავდით ერთმანეთს — ვიკამათეთ, ვიკამათეთ და საერთო მნიშვნელი ვერ გამოვნახეთ. რატომ? იმიტომ, რომ ოდესღაც, ვიღაცას სადღაც შემოუღია „კანონი“, რომელმაც რიგების გაუგებარი დიფერენციაცია შემოიღო. ეს „კანონი“ იმდენად ფესვგამდგარი აღმოჩნდა, რომ ვერც პარტიის რაიკომი, ვერც ავტოსატრანსპორტო გაერთიანების ხელმძღვანელები ვერაფერს გახდებიან მის გასაუქმებლად ან შესასწორებლად.

დავობენ მძღოლები. გუშინდელი მეგობრები დანასისხლად არიან ერთმანეთთან, ყოველდღიური ჩხუბისა და აყალმაყალის შედეგად ძარღვებმოშლილები, ჯანგამოცლილები უსხდებიან ვეებერთელა ავტობუსების საჭეს...

ნუთუ ძნელია, ავტოტრანსპორტის სამინისტრომ ერთიანი რიგი ან სხვა რამ წესი შემოიღოს, რომელიც წერტილს დაუსვამს ამ მრავალწლიან „შინაომებს?“.

...ეზოში მძღოლებმა გამომაცილეს. მანქანაში რომ ვჯდებოდი, რამდენიმე მათგანი მოვიდა ჩემთან და:

— პატივცემულო! ძალიან გთხოვთ, ნურაფერს დაწერთ ჩვენზე...

— რატომ?

— იმიტომ, რომ სამინისტროს კიდევ ერთი წესი აქვს: ავტობუსის მიღებაზე ან განაწილებაზე თუ რომელიმე ავტოსატრანსპორტო გაერთიანებაში დავა დაიწყება, ჩვენი დასჯის მიზნით, ჩვენთვის განკუთვნილ ავტობუსს სხვა საწარმოს აძლევენ...

მძღოლებს ვერ შეეპირდი, არაფერს დავწერ-მეთქი.

რა ქმნას საწყალმა პეპელამ? ხმას ამოიღებ და, რატომ თქვინ! თუ თქვი და შეეკამათე, მანქანასაც ვერ მიიღებო. საიდან სადაო! ხალხო! აბა ეს წესია? რაღა ასეთი რეაქცია და რაღა ჩემი ნაცნობი ექიმის ხუმრობით ნათქვამი — თავზე თმის გაცვენის საწინააღმდეგო გილიოტინა არსებობსო! გილიოტინა — ბიუროკრატიზმი.

გურამ ხარაიძე.

ჭაში ჩაშვებული საქმე

უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელი განყოფილებები მალე ახალ შევსებას მიიღებენ. ამის შესახებ „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრის მოადგილე გენადი მაჭაკაბარიძე.

— წლითიწლობით სულ უფრო სრულყოფილი ხდება უმაღლეს სასწავლებლებთან არსებული მოსამზადებელი განყოფილებების საქმიანობა. მათი დანიშნულებაა ხელი შეუწყოს ახალგაზრდებს, რომლებმაც თავიანთი კარგი ყოფაქცევით და სიბეჯითით სათანადო ავტორიტეტი მოიპოვეს შრომითს კოლექტივებში, თავი ისახელეს სამხედრო სამსახურში, საუკეთესო მიზნის მიღწევაში.

წელს ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე სულ 1321 მსმენელს მიიღებენ, მათ შორის 315-ს ადგილობრივ და დაუსწრებელი სწავლების ფორმებისათვის.

— ჩვენი გაზეთის მკითხველებს ყველაზე უფრო უთუოდ ის აინტერესებთ, თუ ვის აქვს მოსამზადებელ განყოფილებაზე შესვლის უფლება.

— წლეულს, ადრინდელისაგან განსხვავებით, მოსამზადებელ განყოფილებებზე იღებენ სახალხო მეურნეობის ნებისმიერ დარგში დასაქმებულ მუშებს, აგრეთვე კოლმეურნეებს, რომელთაც პრაქტიკული მუშაობის სულ ცოტა ორი წლის სტაჟი აქვთ და საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები სათანადო მიმართვებს მისცემენ. ასეთივე უფლება აქვთ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების თადარიგში დათხოვნილ სამხედრო მოსამსახურეებს. მათ შესაბამის მიმართვას სამხედრო ნაწილების ხელმძღვანელობა აძლევს.

— კიდევ რა კატეგორიის ახალგაზრდებს შეუძლიათ „სცადონ ბედი?“.

— სამედიცინო უმაღლესი სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებებზე (დღის სწავლების ფორმაზე მოგახსენებთ) იღებენ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც ორი წელი მაინც უმუშავიათ სანიტარად ან უმცროსი სამედიცინო პერსონალის თანამდებობებზე.

გარკვეული კატეგორიის ახალგაზრდებს ასევე ენიჭებათ უფლება შევიდნენ პედაგოგიური და სასოფლო-სამეურნეო პროფილის მქონე ინსტიტუტების მოსამზადებელ განყოფილებებზე. კერძოდ, სპეციალობებზე — „საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი“, „საბუღალტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი სოფლის მეურნეობაში“ მიიღებენ იმათ, ვინც დასაქმებულია აღრიცხვითი და ანალიზით.

პედაგოგიური ინსტიტუტების მოსამზადებელ განყოფილებებზე შესვლა შეუძლიათ უფროს პიონერტანმძღვანელებს, რომელთაც ამ თანამდებობაზე არანაკლებ ორი წლის მუშაობის სტაჟი

— შარშან ხომ **გარდაიცვალა** „იკარუსის“ ერთი მძღოლი... მის მანქანაზე მაინც რატომ არ დამსვით...

— იმიტომ რომ...

— იმიტომ რომ...

— იმიტომ რომ...

— მოკლედ, მერამდენედ გეუბნები — „მაგარზე“ იჯექი და თუ ჩამოწერე მანქანა, ისევ „მაგარზე“ გადაბრძანდი... როცა მივიღებთ...

— ხალხო! ცოდნა მაკლია, კვალიფიკაცია, კაცობა თუ მუშაობის წყურვილი! რომელ კანონში წერია იმის რიგი და ამის რიგი...

ფანჯრიდან დავინახე, როგორ შემოაგორეს ბუქსირით ჩემი ნაცნობი „ჭაში ჩაშვებული“ „პობედა-ვოლგა“. თემას გადავუხვიე, მაგრამ ვერ მოვითმინე და ვკითხე:

— აი ის მანქანას, ძლივს რომ დგგორავს, რატომ არ ჩამოწერთ?

მძღოლებს გაეცინათ:

— ჯერ გარბენის ნორმა არ შეუსრულებია...

„მონანიება“ ჩიკაგოში

დღეს არსებული მონაცემებით, უკვე დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რეჟისორ თენგიზ აბულაძის მხატვრულმა ფილმმა „მონანიებამ“ საქართველოს კინემატოგრაფიის პოპულარობის ყველა რეკორდს გადააჭარბა. იგი უჩვენეს სსრ კავშირის ყველა ქალაქში, საზღვარგარეთის ათობით ქვეყანაში. ფილმმა მოიპოვა კანის საერთაშორისო ფესტივალის სამი პრიზი — ჟიურის მთავარი სპეციალური პრიზი, კრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის „ფიპრესსის“ პრიზი, ხელოვნებაში ჰუმანიზმისათვის კათოლიკური ეკლესიის პრიზი. „მონანიებამ“ მიიღო თბილისის XX საკავშირო კინოფესტივალის დიდი პრიზი, მაღალი ჯილდოებით აღინიშნა ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, ნორვეგიაში...

და აი, კიდევ ერთი დიდი გამარჯვება. ჩიკაგოს XXIII საერთაშორისო კინოფესტივალის ჟიურიმ ქართველი რეჟისორის ფილმს მიანიჭა თავისი სპეციალური პრიზი, მთავარი როლის შემსრულებელმა მსახიობმა ავთანდილ მახარაძემ კი მიიღო „ვერცხლის ჰიუგოს“ პრიზი. (სპეციფორმი).

დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილე ფართოდ აღინიშნა ჩვენს რესპუბლიკაში და კვლავაც გრძელდება.

ილიას დღეები

გაიმართა ქუთაისის საწარმოდაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში. მწერალთა სახლში მოეწყო მხატვრული სიტყვის ოსტატებისა და ალექსანდრე წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა გაერთიანებული თეორიული კონფერენცია და სესია, რომლებიც მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის სამწერლო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ დავით კვიცარიძის რედაქტორობით გამოსცა ერთდროული ლიტერატურული გაზეთი „ილია-150“. ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო. დასასრულ თეატრმა წარმოადგინა სპექტაკლი „ოთარაანთ ქვრივი“.

• • •

ეს ინფორმაცია ვარშავიდან რედაქციის ტელეტაიპით მივიღეთ. საკადესის კორესპონდენტი გვწერს: დღეს იშვიათად ხდება, როცა საზღვარგარეთის მხატვრულ კოლექტივს მთელი დარბაზი უმღერის პოლონურ მრავალჟამიერს „სტო ლიატ“ (ასი წელი). მაგრამ ხშირად ამ სიმღერას

მღეროდა მთელი დარბაზი

ვარშავის ეთნოგრაფიულ მუზეუმში საქართველოს სსრ გამსახკომის ფოლკლორული ანსამბლის „მთიების“ გამოსვლის შემდეგ, რითაც მაყურებელმა გამოხატა მოყვარული მსახიობების ოსტატობით გამოწვეული აღფრთოვანება. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და ხელოვნების სამინისტროს მოწვევით ანსამბლი დაესწრო „კავკასიის ხალხთა კულტურის“ გამოფენის გახსნას.

მზიური საქართველოს, თვითმოქმედ კოლექტივს ქართულად მიესალმა ამ რესპუბლიკის დიდი მეგობარი იან ბრაუნი. მან აღნიშნა ქართული ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი განუმეორებელი მრავალხმიანობა, კოლორიტი და მელოდიურობა. პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტის ცნობით პოლონელი მუსიკათმცოდნე იჟი მორავსკი შეკრებილი ესაუბრა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ხალხურ ტრადიციებზე.

მასალები რუბრიკისათვის მოამზადა ბ. ბახტურიძემ.

თბილისობა ვარნის ყურეში

ჩამოვიდა მეგობრობისა და მშვიდობის 627 ახალგაზრდა ქართველი დელეგანი

24 ოქტომბერს ზუსტად 12 საათზე ვარნის ნავსადგურში შემოსული გემის „კაზახსტანის“ ხანგრძლივმა საყვირმა გვაუწყა „მშვიდობის ტალღა“, რომელიც ამ დღეს დაიწყო ჰიროსიმაში და შემოიარა დროის ყველა სარტყელი. გემით ჩამოსული საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის აქტივისტები „კაზახსტანის“ გემბანზე გამართული მიტინგით ჩაერთნენ მშვიდობისმოყვარე მსოფლიო საზოგადოებრიობის ამ აქციაში.

ვარნის მშვიდობის დაცვის საოლქო კომიტეტის სახელით მისი თავმჯდომარე გიორგი ბოგდანოვი მიესალმა მიტინგის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ერთობლივად უნდა ვესწრაფვოდეთ მშვიდობას.

მოძმე საქართველოს წარმომადგენლებმა „მშვიდობის კრუიზი“ უწოდეს თავის მოგზაურობას, რომელიც დიდი ოქტომბრისა და ზავის შესახებ ლენინური დეკრეტის 70 წლისთავს მიუძღვნეს. კრუიზისავე დევიზით „უბრალოდ მსოფლიო სოციალიზმის იდეალი“ გაიმართა შეხვედრები ვარნის მიწა-წყალზე. ქართველი ეპისკოპოსი კალისტრატე შეხვდა ვარნის მიტროპოლიტ იოსებს. მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრი მშვიდობისათვის ბრძოლაში ორი ქრისტიანული ეკლესიის მონაწილეობის შესახებ.

სამშვიდობო დელეგაციის ხელმძღვანელი ვახტანგ რჩეულიშვილი — საქართველოს მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე — კომიტეტის აქტივისტებთან ერთად გაეცნო ვარნის სამშვიდობო მოძრაობის საქმიანობას. ახალგაზრდა ქართველი მწერლები და მხატვრები ესტუმრნენ თავიანთ ვარნელ კოლეგებს.

აქ, ვარნის ნავსადგურში, საქართველოს წარგზავნილებმა აღნიშნეს თავიანთი დედაქალაქის ტრადიციული ზეიმი, რომლისთვისაც ტკბილხმოვანი სახელი „თბილისობა“ შეურქმევიათ. მათ ასე მიულოცეს თავიანთ თბილისს ჯილდო, რომლითაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ იგი მშვიდობის დესპან ქალაქად გამოაცხადა.

კარამფილა კოსტოვა,
გაზეთი „ნაროდნო დელო“.

პრემიერამდე მოგვიანებით

ახალი სეზონი მარჯანიშვილის თეატრში

დღეს, 10 ნოემბერს ახალ სეზონს იწყებს კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

— მაინცდამაინც არ ვჩქარობდით სეზონის გახსნას, — უთხრა „კომუნისტის“ კორესპონდენტს თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **თამურ ჩხეიძემ.** — არ ვჩქარობდით იმიტომ, რომ გარე სამყაროსაგან „მოწყვეტილი“ აღმოვჩნდით — მარჯანიშვილის ქუჩის რეკონსტრუქციის გამო მაყურებელი ჩვენამდე ვეღარ აღწევდა. ახლა საცალფეხო ბილიკით მაინც შეუძლიათ მოსვლა და ჩვენც ვიწყებთ...

— რით იწყებთ?

— პრემიერით. ეს არის თამაზ გოდერძიშვილის პიესა „ილია ვარ“, რომელიც აგებულია ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან დაკავშირებულ საგამოძიებო მასალებზე. საკმაოდ მძაფრი სპექტაკლი გამოვიდა და დასანანია, რომ ილიას იუბილეს დღეებში ვერ ვაჩვენეთ, იმ დროს, მოგეხსენებათ, ბულგარეთში ვიყავით.

— არა უშავს, ილია, ალბათ, ყოველთვის უნდა იყოს ქართულ სცენაზე...

— გეთანხმებით... თანაც ამის ტრადიცია არსებობს მარჯანიშვილის თეატრში, სხვა სპექტაკლებზე რომ არაფერი ვთქვა, ამ ბოლო ხანს წარმოვადგინეთ „ასის წლის წინათ“, იგი ახლაც გვაქვს რეპერტუარში...

— თქვენ ბულგარეთი ახსენეთ. უკვე ვიცით, რომ იქ კარგად გამოსულა თეატრი — „ოტელო“, „პროვინციული ამბავი“, „ჯაყოს ხიზნები“ სიამოვნებით უნახავთ...

— სასიხარულო იყო, რომ თითქმის ერთხმად აღიარებდნენ თეატრის ძლიერ აქტიორულ შემადგენლობას.

— ახლა უშუალოდ უახლეს რეპერტუარზე გვიამბეთ?

— მაღე ისევ პრემიერა გვექნება. ეს არის კილტის პიესის „სათნო მატყუარას“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლი, რომელსაც ჩვენს თეატრში ჰქვია „სტელა და ავი სული“. დამდგმელი რეჟისორია დათო ანდღულაძე, მთავარ როლებს ასრულებენ მედეა ჯაფარიძე და კოტე მახარაძე. ამის შემდეგ ისევ პრემიერაა — ედუარდო დე ფილიპოს პიესა „ნეაპოლი — მილიონთა ქალაქი“, რომელიც გოგი თოდაძემ დადგა, მთავარ როლებში არიან სოფიკო ჭიაურელი და გივი ბერიკაშვილი. წელსვე გვინდა წარმოვადგინოთ შილერის „ვერცხლისა და სიყვარული“.

ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ქართული რეპერტუარი ამ სეზონში უნდა დავდგათ ოთარ ჭიოკაძის „წათეს წითელი წაღები“, რაფიელ მამულაშვილის „მკვლელობა დაბადების დღეზე“, ოტია იოსელიანის და ოთარ მამფორიას პიესები. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა გიგა ლორთქიფანიძემ შექმნა ევგენი ევტუშენკოს სცენარის „სამი მუშკეტერის უკანასკნელი დღეების“ სცენური ვარიანტი. დადგმა ამ სეზონში აქვს განზრახული ჩვენთან.

ამ სეზონში „მეგობრობის თეატრის“ ხაზით მოსკოვში ჩავიტანთ „ჰაკი აძბას“, სულ მალე კი „ჯაყოს ხიზნებით“ მონაწილეობას მივიღებთ საკავშირო ფესტივალში „თეატრი და დრო“, რომელიც ერევანში გაიმართება...

ხალისიანი განწყობილებით

მინიატიურების სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს ხალისიანი განწყობილებით ხსნის. ეს კი მთავარია. მაინც, რა მოხდა? თურმე, გაფართოებულან, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის სახელმწიფო თეატრის შენობაში შესახლებულან. ეს „კომუნისტის“ კორესპონდენტს უთხრა მინიატიურების სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **თენგიზ ჩანტლაძემ.**

— მიზეზი რა იყო თქვენი „გადასახლების“?

— ფილარმონიის ბაღის კაპიტალურმა რემონტმა გვიშველა. ალბათ იცით: ეს ადგილი დედაქალაქის მუსიკალური ცხოვრების ცენტრად უნდა გადაიქცეს. რეკონსტრუქციის დროს შენობა, რომელშიც ჩვენ ვიყავით, ზედმეტი აღმოჩნდა და დაისვა საკითხი, სად გადავსულიყავით. იყო სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ ყველას მუსიკომედიის თეატრის შენობა ვამჯობინეთ.

ამჯობინეთ, კარგია, მაგრამ თვითონ ეს თეატრი სად წავიდა?

— მუსიკომედიის თეატრი დროებით პროფკავშირების კულტურის სასახლეში გადავა, რამდენადაც ვიცი, ამ თეატრს გორკის სახელობის კულტურის პარკში ახალი, უწინდელზე უკეთესი შენობა უნდა აუგონ.

— გაფართოებამ, ალბათ, ზოგი სიახლეც შეიტანა თეატრის ცხოვრებაში...

— შევუთანხმდით რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს და გადავწვიტეთ სახელი შევუცვალოთ თეატრს. ამიერიდან მას ერქმევა **იუმორისა და სატირის სახელმწიფო თეატრი,** ეს იმან გვაფიქრებინა, რომ მინიატიურებთან ერთად უკვე ვდგამთ კლასიკოსებისა თუ თანამედროვე ავტორების პიესებს.

— სახელდობრ?

— ვშუშანიმთ მიხეილ ჯავახიშვილის „აკაჯი კვაჭანტირაძესა“ და ვალენტინ კატაევის „წრის კვადრატურაზე“... 8 ნოემბერს კი ახალი სეზონი პრემიერით გაიხსნა, ეს არის რევაზ მიშველაძის, ჩემი და ავთანდილ გელოვანის სატირული დეტექტივი „ნახვამდის, ვანჩიქა“.

გაისად თებერვალში მოსკოვში გვაქვს გასტროლები, მოსკოვის მინიატიურების სახელმწიფო თეატრი კი თბილისს ეწვევა. აპრილში საზოგადოებრივ, კერძოდ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ვაპირებთ წასვლას.

— წარმატებებს გისურვებთ.

— გმადლობთ.

ორი ტურიც და...

გთავაზობთ უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: კიევის „დინამო“-თბილისის „დინამო“ — 3:1, „ყაზგორისა“-„დნეპრი“ — 1:2, მოსკოვის „ტორპედო“-„ნეფთჩი“ — 1:1, „მეტალისტი“-„არარატი“ — 1:0, ცსკა-„ზენიტი“ — 1:1, „მახტაორი“-„მინსკის „დინამო“ — 0:0, მოსკოვის „დინამო“-„ყაირათი“ — 1:0.

დღეისათვის გათამაშების ცხრილში გუნდები ასეთი თანამიმდევრობით არიან განლაგებული:

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	28	15	10	3	47-25	40
„დნეპრი“	29	15	8	6	40-20	38
„ყაზგ.“	30	14	8	8	43-29	36
„დინ.“ მნ	29	12	8	9	31-23	32
„ტორპ.“	29	11	12